# დროება

№ 149 ოთხშაბათი, 8 ივლისი, 1909 წ. № 149

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ხ. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბარებული [illegible] «დროების» რედაქციაში და კანტორაში [illegible] რა-უქმეების გარდა, დილის 9 [illegible] თი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭВА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ივლისიდან წლის ბოლომდე—5 მ. 10 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

## ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ განთავისუფლდა ორი სტიპენდია

ძმ. ზუბალაშვილებისა.

სტიპენდია მიეცემა უპროცენტოდ სესხად რუსეთისა და საზღვარ-გარეთის დაბალს და საშუალო სპეციალსა და მაღალს სასწავლებელში მოსწავლე ღარიბ ქართველს, უფრო კი რუსეთის დაბალ, საშუალო და მაღალს სპეციალს სასწავლებელში მოსწავლეს ან ამგვარსავე ახლად შემსვლელს,—განურჩევლად სქესისა, წოდებისა და სარწმუნოებისა.

თხოვნები სტიპენდიისათვის უნდა გამოიგზავნოს წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობის სახელზე ტფილისში (Тифлисъ. Общество грамотности) არა უგვიანეს ამა ივლისის 31-ისა.

თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს: 1) სასწავლებელი (და მისი ფაკულტეტიც და სპეციალი განყოფილება), რომელშიაც სტიპენდიის მთხოვნელი სწავლობს, აგრეთვე კლასი ან კურსი, რომელზედაც იგი არის; 2) სასწავლებელი, რომელშიაც მთხოვნელს მიუღია მოსამზადებელი სწავლა და ის სასწავლებელი და მისი ფაკულტეტებიც ან სპეციალი განყოფილება, რომელშიაც შესვლას აპირებს, და 3) ოჯახური და ნივთიერი მდგომარეობა მთხოვნელისა.

თხოვნასთან წარმოდგენილი უნდა იქმნეს: 1) მოწმობა სასწავლებლის მთავრობისა, სადაც მთხოვნელი სწავლობს, 2) მოწმობა იმ სასწავლებლისა, რომელშიაც მთხოვნელს მოსამზადებელი სწავლა მიუღია, თუ იგი ახლა შედის დაბალს და საშუალო სპეციალს სასწავლებელში ან მაღალს სასწავლებელში. (3—1)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4. სახლი გაბაშვილისა. (უ)

**კაბინეტი კბილის საექიმო ა. ა. თოროზოვისა**

(ყოფილი თანაშემწე ლ. მტრეიხერისა) რაზიეხუაის ქუჩა, სახლი N 19, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. იღებს კბილით და ღრძილით ავადმყოფებს დილით 9—2 ს.. საღამოთი 4—7 საათამდე. (25—323—4)

**ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი**

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის ჩაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოლონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—188)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. გიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი ა. ს. ალადიშვილი ბორჯომში,**

ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ საფაკულტეტო კლინიკისა, იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ურუსოვსკის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—5)

**ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში**

1 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს სომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით 9—1 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—11)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოდაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ს. 106)

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბრონსის ქუჩა, N 11. (75—120)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარცხვე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—5)

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე** ქუთაისში იღებს შინაგან, სამარდე და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 19—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—ნ.—84)

**ექიმი გ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

## ჭიათურის ქალთა პროგიმნაზიაში

რომელშიაც სექტემბრიდან მესამე კლასიც იხსნება, მიიღებიან მოსწავლენი 25 აგვისტოდან ყველა კლასებში. (4—ფ.—2)

**ტფილისის ქართველ თავად-აზნაურთა გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭო** ამით აცხადებს, რომ მომავალ საზაფხულო წლისთვის (1909—1910) ვაკანსიები იქნება **პირველ განყოფილებაში, მეოთხე და მეხუთე კლასში.**

საზოგადოდ ეგზამენები დაიწყება აგვისტოს 19-ში, ხოლო პირველ განყოფილებაში—25-ში. თხოვნა და საჭირო დოკუმენტები (მეტრიკის, აცრის და ჩამომავლობის მოწმობა) წარმოდგენილ უნდა იქმნას აგვისტოს 10-თვის.

გიმნაზიის მოწაფეებმა, რომელთაც აქამდის არ შემოუტანიათ გასულ სასწავლო წლის ფული, გამოცხადებისათანავე უნდა წარმოადგინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულად ჩაითვლებიან.

ახლად შემომსვლელნი მოვალენი არიან, სწავლის ფული წარმოადგინონ მიღებისათანავე.

წლიური გადასახადი განყოფილებაში არის 30 მან., გიმნაზიურ კლასების 40 მანეთი.

რადგან მოწაფეთათვის სავალდებულოა მთავრობის მიერ დამტკიცებული ფორმა, საპედაგოგიო საბჭო სთხოვს მოწაფეთა მშობლებს და მზრუნველებს, მობრძანდნენ გიმნაზიის კანცელარიაში და გაიცნონ ფორმა.

კანცელარია ღია იქნება ოთხშაბათობით და შაბათობით, დილის 10—12 საათამდე. (3—6—2)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ერთ კვირაზე მეტია „ზაკავკაზიე"-სა და „ტფილ. ლისტოკს" შორის ერთი აურ-ზაურია. იმათ რომ ჰკითხოთ, პოლემიკააო, გეტყვიანთ, მაგრამ საკმაოა მკითხველმა ერთი წერილი მაინც გადაიკითხოს რომ მიხვდეს, რა ჯურის პოლემიკაა ეს პოლემიკა. მთელი აურ-ზაური გამოიწვია ბ-ნ ლევან ყიფიანის „ტფილ. ლისტოკ".-დან წასვლამ და „ზაკავკაზიეში" შესვლამ. საკმაო იყო ეს უმნიშვნელო ფაქტი, რომ ორივე გაზეთი ფეხზე დამდგარიყო და, ვინ იცის, რა ეპიტეტებით არ შეემკო ერთმანეთი. ყველაფერი, რაც ამ ამბის გამო მოკინკლავეებმა დასწერეს, მშვენივრად ახასიათებს ტფილისის პრესსას, უმთავრესად რუსულს, თორემ, მაგალითად, ქართულ ყოველ-დღიურ გამოცემებში, თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ არაფერი ამისთანა არა ხდება და თუ პოლემიკაა, ყოველთვის მას პრინციპიალური ხასიათი აქვს. ორივე გაზეთმა და თანამშრომლებმა ისე ლაზათიანად შეამკეს ერთმანეთი, რომ ვეჭვობთ, ეხლა მათი გაწმენდა და გასუფთავება შესაძლებელი იყოს. დავიწყოთ „ტიფ. ლისტოკ."-დან.

ბ-ნი ლევან ყიფიანი ორი-სამი წელიწადი ამ გაზეთის თანამშრომელი იყო. და აი ეხლა „ტფ. ლისტოკის" რედაქცია გვამცნევს, რომ „ბ-ნ ყიფიანის კალამს ხელმძღვანელობს კუჭი და სპილენძის გროში", რომ „ყიფიანი სიბინძურის მორევში სცურავსო", რომ იგი „ჭორებისა და ლანძღვა-გინების ბუდეა" და სხვა და სხვა. საყურადღებო უფრო ის არის, რომ „ტფ. ლისტოკს", როგორც მისი წერილიდანა სჩანს, წინადაც სცოდნია რა მწერალია ყიფიანი და მაინც, მიუხედავად ამისა, ორი-სამი წელიწადი თავის საუკეთესო თანამშრომლად სთვლიდა. „ტიფ. ლისტოკ"-ში დაბეჭდილია მცირე ცნობა იმის შესახებ, რომელ გაზეთებში თანამშრომლობდა ბ-ნი ყიფიანი. მისის სიტყვით, 1904 წლამდე ლევან ყიფიანი თანამშრომლობდა „ნოვოე ობოზრენიე"-ში და **„არც ერთ შემთხვევას არ უშვებდა** (ყიფიანი), **რომ „ტიფ. ლისტ." არ გაელანძღაო"** განგებ ვუსვამთ ხაზს უკანასკნელ წინადადებას, რომ მკითხველმა ყურადღება მიაქციოს. მიუხედავად ამ ლანძღვისა, როდესაც ლევან ყიფიანმა „ნოვოე ობოზრენიეს" თავი გაანება, „ტიფ. ლისტ."-მა სიხარულით მიიღო იგი თავის თანამშრომლად. „ყიფიანმა, ახლა,—უმატებს რედაქცია,—„ნოვ. ობოზრენიეს" დაუწყო ლანძღვაო."

დადგა 1905 წელიწადი. ყიფიანმა დაიწყო მუშაობა „ვოზროჟდენიასა" და მის მომდევნო გაზეთებში. **„ლევ. ყიფიანმა ხელ-ახლა მიჰყო ხელი,—სწერს „ტიფ. ლისტ.,"—„ტიფ. ლისტოკსაო".** ასე ექცეოდა ყოველთვის ლევ. ყიფიანი „ტიფ. ლისტოკს", მაგრამ ამ გაზეთმა არაფერს ყურადღება არ მიაქცია და ყიფიანი ხელ-ახლა მიიღო თავის თანამშრომლად..: ყიფიანმა ახლა კამპანია დაიწყო გოთუასა და ამირეჯიბის წინააღმდეგ, დასძენს ტიფ. ლისტ".-ს რედაქცია, და ბოლოს მათვე შეაფარა თავიო.

ამ რიგად, ლევან ყიფიანი შემთხვევას არ უშვებდა, რომ კბილი არ გაეკრა „ტიფ. ლისტ."-სთვის (როცა სხვაგან იყო), მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც ყოველთვის სიხარულით ეგებებოდა იმის დაბრუნებას. მერე რისთვის? მხოლოდ იმისთვის, ალბად, რომ ყიფიანი თავის იარაღად გაეხადნა და ელანძღა ისინი, ვინც ბ-ნ ხაჩატუროვებს არ მოსწონდათ.

ასეცა ხდებოდა: ბ-ნი ლევ. ყიფიანი პურ-მარილის კაცია, აფასებდა ხაჩატუროვების პურ-მარილს და დაუნდობლად ლანძღავდა ყველას, ვისი ლანძღვაც ბატონ ხაჩატუროვებისთვის სასიამოვნო იყო. სამაგიეროდ, ეხლა ხაჩატუროვებსა ლანძღავს, რადგან მათ პურ-მარილზე ხელი აიღებინეს და კინწი-კვრით რედაქციიდან გაისტუმრეს. ასე სწერენ თითონ ბ-ნნი ხაჩატუროვები და იმასაც კი უმატებენ, რომ ბ-ნ ყიფიანს ჩვენი გაზეთიდან წასვლა არ უნდოდა, მაგრამ ჩვენ ძალით გავისტუმრეთო.

„ზაკავკ."-ში მოთავსებულ თავის პირველსავე წერილში ბ-ნმა ყიფიანმა „ტიფ. ლისტოკზე" და იმის რედაქციაზე დაიწყო ლაპარაკი. სახელს არ იხსენიებს, მაგრამ აშკარაა, რომ მხედველობაში ეს გაზეთი ჰყავს. თუ ბ-ნ ყიფიანს დაუჯერებთ, „ტიფ. ლისტოკი" გაზეთი კი არა, რაღაც დუქანი ყოფილა, ამასთან იმდენად უსუფთაო, რომ შიგ კაცს არც კი შეესვლება. რედაქტორიც უვიცი, რიგიანობას მოკლებული კაცი ყოფილა. მერე ყველა ეს ეხლა გაიგო ბ-ნმა ყიფიანმა? ეხლა გაიგო, რომ „ურიგო" კაცია ის, ვისაც თითონ „ტიფ. ლის."-ს მოწმობით, კერძო წერილებში ყ—ნი სწერდა: „საყვარელო, ძვირფასო და დიდად პატივცემულო ივანე გრიგორის ძე"? არა, ბატონებო, აქ „ურიგობასა" და „რიგიანობას" ადგილი არა აქვს, უმთავრესს როლს აქ უპრინციპობა თამაშობს. დიაღ, სწორედ უპრინციპობაა მიზეზი, რომ გუშინ ბ-ნი ყიფიანი ბ-ნ ხაჩატუროვს „საყვარელ და ძვირფასს" ეძახდა, იმის გასამართლებლად გაბუნია-ცაგარლის სიტყვებს იმოწმებდა, დღეს კი მიკიტნის სახელითა ნათლავს; გუშინ თავ. ამირეჯიბს „მაზუთისა და ბაქოს რაინდს" ეძახდა, დღეს კი იმის გაზეთში თანამშრომლობს... იმავე უპრინციპობის ბრალია, რომ ორიოდე დღის წინად თავ. ამირეჯიბის გაზეთი მიწასთან ასწორებდა ბ-ნ ყიფიანს, დღეს კი დიდ რეკომენდაციას უკეთებს—ნიჭიერი მწერალი და სასარგებლო მოღვაწეაო...

* * *

ყველა ზემოდ ნითქვამიდან მკითხველი ადვილად გაიგებს, რა ჯურის მწერლები მოქმედებენ ადგილობრივ რუსულს პრესაში და რა ატმოსფერა გაბატონებულა იქ უაზრო კინკლაობა და ერთმანეთის ლანძღვა-გინება—აი რა ასულდგმულებს დღეს ამ პრესსას. სამწუხაროდ, ლანძღვა-გინება არ იკმარეს და ეხლა მუშტი-კრივზედაც გადავიდნენ. ქვემოდ ქრონიკაში ვბეჭდავთ იმ ამბავს, რომელიც კვირას სათავად-აზნაურო თეატრის ბალში მომხდარა საჯაროდ, ყველას თვალ-წინ და რომლის უმთავრესი მომქმედი პირები რედაქტორები ყოფილან. რა უნდა ვთქვათ იმის მეტი, რომ ასეთი მოქმედება, რომ მუშტით ანგარიშების გასწორება—დასაგმობი და სამარცხვინო საქციელია!..

* * *

„ჩვენი აზრის" 4 ივლისის ნომერში დაიბეჭდა კოწია ჯაფარიძის წერილი—„ნუ თუ ეს შესაძლებელია?" ავტორი გადმოგვცემს იმ ინციდენტის ამბავს, რომელიც დრამატიულ საზოგადოების წევრის ბ-ნ ნანობაშვილისა და არტისტ-ქალის ნ. გაბუნია-ცაგარლის შორის მომხდარა. სხვათა შორის ჯაფარიძე სწერს:

ამას წინეთ ბ-ნმა გაბუნია-ცაგარლისამ გვიამბო: როცა დრამატიული საზოგადოების გამგეობამ არტისტების სასარგებლოთ წარმოდგენის გამართვა განიზრახა, უნდოდა ეთამაშნათ „ადვოკატთან." სათამაშოთ მეც მიმიწვიეს, რაც გაზეთ „ზაკავკაზიეში"-აც გამოაცხადეს. მე დიდის სიამოვნებით დავთანხმდი, მხოლოდ ჩემ გასამრჯელოთ, თანახმად გამგეობის გადაწყვეტილებისა. ოთხი თუმანი მოვითხოვე. 26 ივნისს მე და ჩემთან ერთად ახვებიც ნასადილევს სათავად-აზნაურო ბანკის ბაღში წავედით. იქ შემხვდა ბ-ნი ალექსანდრე ნანობაშვილი, რომელსაც მე განვუცხადე ჩემი სურვილი გონორარის მიღების შესახებ. ბ-ნი ნანობაშვილი მალიან გაჯავრდა. როგორ არა გრცხვენია, რომ გასამრჯელოს ითხოვო. ჩვენ უცხოებს ვაძლევთ გასამრჯელოს და შენ ხომ შინაური ხარო... მაგრამ განა ღირს შენთან ლაპარაკიო... ესა სთქვა და დედა მემაგინა. იმ დროს არტისტი შალიკაშვილიც იქ იყო. უზრდელი გამგეობის წევრის საქციელი მე მაშინვე შევატყობინე ბ-ნ ალექსანდრე ჯაბადარს.

ეს წერილი, როგორცა ვთქვით, დაიბეჭდა 4 ივლისს. ჩვენ მაშინ არაფერი ვთქვით. გვეგონა, ბ-ნი ნანობაშვილი ან გამგეობა ხმას ამოიღებენ და ასე თუ ისე თავს მაინც გაიმართლებდნენ, მაგრამ აგერ ოთხი დღე გადის და ხმას არავინ იღებს. ალბად მართალი ყოფილა ყველაფერი და მერე, ბ-ნ ჯაფარიძისა არ იყოს, „ნუ თუ მართლა შესაძლებელია ეს"?

* * *

„ტიფ. ლისტ."-ში ამას წინად ბ-ნ კანჩერის წერილი დაიბეჭდა. ავტორი ადგილობრივ არა-რუსულ პრესსას უსაყვედურებდა—ერობის შესახებ არაფერსა სწერსო. ბ-ნმა კანჩერმა, რასაკვირველია, თავი არ აიტკივა ქართულ ჟურნალ-გაზეთების გადასათვალიერებლად და იმის გასაგებად, თუ რა დაიბეჭდა და რა არა და ზეპირად წამოისროლა—არაფერსა ბეჭდავენო. გუშინდელ „ტიფ. ლისტოკში" ამის გამო ბ-ნ ივანე პოლუმორდვინოვს მოჰყავს ის ქართული გაზეთები, სადაც მარტო 1908 წელს ერობის შესახებ წერილებია დაბეჭდილი. აი, ეს წერილები:

„ერობა საქართველოში"—გაზ. „ისარი" NN 38, 46 და 51; „ამირანი" NN 50 და 120; „დროება" N 10; „იმედი" N 7. „ერობა და წვრილი საერობო ერთეული"—„ამირანი" N 1?7; „ერობა და სახალხო განათლება რუსეთში"—„ამირანი" N 176; „საერობო თვითმმართველობა ჩვენში"—„ამირანი" NN 165 და 170; „საერობო თვით-მმართველობა კავკასიაში"—„ამირანი" N 127.

## ბრძოლა თავისუფლებისათვის სპარსეთში

### დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 ივლისი

**თეირანი.** არდებილიდან იუწყებიან: რევოლიუციონერებმა, რომლებმაც ადგილობრივ გუბერნატორს ციხის გადასაცემად 24 საათის ვადა მისცეს, სროლა დაიწყეს. ორთავე მხარე ზარბაზნებს ისვრის. შეიძლება, რომ ყუმბარები საკონსულოს სადგომსაც მოხვდეს. გუბერნატორის ჯარმა გაცარცვა და ცეცხლი წაუკიდა ქალაქის იმ ნაწილს, საიდანაც რევოლიუციონერებს ესროდა. რევოლიუციონერები თავის მხრივ სცარცვავენ დუქნებს და ქალაქის სხვა უბნებს. გაძარცვეს რუსეთის ქვეშევრდომების რამდენიმე კანტორა. რუსეთის ქვეშევრდომებს წინადადება მისცეს თავიანთ სახლებზე რუსეთის ბაირაღი აუშვან და ძვირფასი ნივთები რუსეთის საკონსულოში გაიტანონ. ზარბაზნებმა ქალაქის შენობები მცირედ დააზიანეს. ცეცხლის წაკიდება და ცარცვა-გლეჯა ისევ სწარმოებს.

**თეირანი.** შირაზის გუბერნატორად დაინიშნა ალაუდ-დოულე, თავრიზის—მუსლმირუს-სალტანე.

**თეირანი** სულტან-ახმედ-მირზას შაჰად გამოცხადების შემდეგ რუსეთის და ინგლისის საელჩოების რაზმები უკან დაბრუნდნენ. ახალი შაჰი თავის გამზრდელ სმირნოვის თანხლებით კამრანიეს სასახლეში გადავიდა. სულთან-ახმედ-რიზა აქ დროებით დარჩება. ქალაქში სრული მშვიდობიანობაა. ელიან, რომ მალე შესდგება ახალი სამინისტრო. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ნასრულ-მულკა იქნებაო.

### ჟურნალ-გაზეთებიდან

**სტამბოლელ სპარსელთა დეპეშა.**

სტამბოლელ სპარსელთა ენჯუმენმა „საადათ"-მა შემდეგი დეპეშა მისწერა სეპეხდარსა და სარდალ-ასადს:

„დიდად მნიშვნელოვანი წამი დადგა. რუსის ჯარმა დაიჭირა ადერბეიჯანის ნაწილი. ჩვენი ხალხი შფოთავს და ღელავს ამის გამო. რუსეთის ასეთს საქციელს, ისიც ჩვენის მრავალის თხოვნის შემდეგ, ჩვენ ვთვლით უტაქტობად და მტრობად სპარსეთისადმი.

ყოველ დღე ვრწმუნდებით, რომ ქვეყანაზე სამართალი არა ყოფილა. ქრისტეს მცნება ევროპას არაკადა და ზღაპრად გადუქცევია. მეტი გზა არაა, ჩვენის ჭკუით უნდა მოვიქცეთ და მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ. გულს ნუ გაიტეხთ. იქონიეთ მოთმინება და მედგრობა.

გირჩევთ ყოველი ღონე იღონოთ, რომ რუსის ჯარს, „უცხოელთა დასაცველად" მოსულს, საბუთი არავინ მისცეს ჩვენს საქმეებში ჩარევისა. ამისთვის საჭიროა, რომ რუსებისადმი სიძულვილი არ გამოიჩინოს ჩვენმა ხალხმა. ნურავინ დაუშლის რუსებს „უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომების ინტერესების დაცვას." რუსის საქონლის წინააღმდეგ არამც და არამც ბოიკოტი არ გამოაცხადოთ.

და თუ რუსები მაინც ჩაერევიან ჩვენს საქმეებში, მაშინ-კი მეტი გზა და ჩარა აღარ იქნება, უნდა დაივიწყოთ ჩვენი სისუსტე და უმწეობა, იარაღით უნდა დაიკავოთ ხალხის ძვირფასი თავისუფლება და ამ ბრძოლაში გასწყდეთ! დაე პირუთვნელმა ისტორიამ უამბოს ჩვენს ჩამომავლობას, თუ ვინ მიიყვანა დაღუპვამდე სპარსეთი და ვინ შეუშალა ხელი სპარსეთში მტარვალობის დამხობას და სიმართლისა და თავისუფლების დამყარებას. (ნ. რ.)

**ბოიკოტი რუსეთის წინააღმდეგ.**

სტამბოლში მცხოვრებ სპარსელ-


**ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

ახლად გახსნილი

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფელდორფვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**გ. დ. ლამბაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

**ბ. ა. პოპოვი**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—102)

თა რჩევა, ეტყობა, ჰკუაში არ დასჯდომია სპარსეთის ხალხს. იგი მოურიდებლად, შეპოვრად იჩენს თავის გულის წყრომასა.

„ნ. რუს"-ს ატყობინებენ რეშტიდან: რუსის ჯარს ხალხი არა-მეგობრულად დახვდა. დემონსტრატიულად დაკეტეს ბაზრები, მაღაზიები და დუქნები. სპარსეთის ხალხი აღელვებულია.

„რუსკ. სლოვო"-ს ატყობინებენ იმავ რეშტიდან, 2 ივლისის თარიღით: „რუსის საქონელს ბოიკოტი გამოუცხადეს. ვაჭრებმა ბაქოში დეპეშები გაგზავნეს, შეკვეთილს საქონელს ნუღარ გამოგვიგზავნით, აღარ გვინდაო. რეშტის საბაჟოში დიდძალი საქონელი ყრია, ბაჟ-გადაუხდელი. რეშტელები ჩაის აღარ სვამენ, რომ რუსის შაქარი არ დასჭირდეთ. ნავთის ლამპები გადაჰყარეს და ყველანი დუმას ხმარობენ სახლების გასანათებლად. ქალაქის გამგეობა ქუჩებსაც ქონით ანათებს. როცა რუსის ჯარმა გაიარა რეშტზე, ქალაქში დუქნები დაიკეტა. მოლებმა გამოაცხადეს, რუსეთიდან მოტანილი საქონელი უწმინდურია და ამიტომ აღარავინ არ უნდა იყიდოსო. დღეს მოელიან დეპეშას ნეჯეფის მუშტეიდებისაგან, რომლებმაც უნდა დაამტკიცონ ადგილობრივ სამღვდელოების დადგენილება, და მაშინ ოფიციალურად დაიწყება ბოიკოტი რუსის საქონლის წინააღმდეგ.

**უცხოელებს არავითარი განსაცდელი არ მოელით სპარსეთში.**

უცხოეთისა და რუსულ გაზეთების კორესპონდენტები ერთხმად მოწმობენ, რომ უცხოელებს არავითარი შიში და განსაცდელი არ მოელით საზოგადოდ სპარსეთში და კერძოდ თეირანშიო. რევოლიუციონერები თვით გაძლიერებულ ბრძოლის დროსაც კი თეირანში სამაგალითო წესიერებას იცავდნენ და უცხოელებს თვალის-ჩინივით უფრთხილდებოდნენო. თეირანში შესვლის უმალ რევოლიუციონერებმა ცალკე რაზმი დანიშნეს უცხოელების დასაცველად, ყოველი ღონისძიება მიიღეს, რომ მათ არა დაშავებოდა-რაო, და მართლაც არც ერთი უცხოელი არ დაზარალებულა რევოლიუციონერების მიზეზითაო.

2 ივლისს თეირანიდან შემდეგი დეპეშა მიიღეს ლონდონში: „თეირანში უცხოელებისთვის საშიში მხოლოდ პოლკოვნიკ ლიახოვის მოქმედებაა. მან ზარბაზანი დაუშინა ქალაქს. ხოლო რევოლიუციონერებმა დარაჯები მიუჩინეს უცხოელთა სახლებსო.

**აგიტაცია რუსეთის წინააღმდეგ ინგლისში.**

ინგლისში უფრო და უფრო ძლიერდება აგიტაცია რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ. ინგლისის რადიკალური პრესა უფრო მედგრად თხოულობს, რომ ინგლისმა წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთს და ჯარი გააყვანინოს სპარსეთიდან.

გავლენიანი რადიკალური გაზეთი „დეილი ნიუზ"-ი ამტკიცებს, რომ რუსეთს არავითარი საბუთი არა აქვს ჯარი იყოლიოს სპარსეთში რადგან ამ ჟამად ყველამ ცხადად დაინახა, რომ სპარსელი რევოლიუციონერები ბეჯითად იცავენ უცხოელთა ქონებასა და სიცოცხლესო. ამიტომ რუსის ჯარი აღარ უნდა შევიდეს თეირანშიო.

დეპუტატებმა ლორდ ლემონგტონმა, ბრაუნმა, ლინჩმა და ობრეიმ წერილი დაბეჭდეს „ტაიმს"-ში რუსეთის წინააღმდეგ. დეპუტატები ამტკიცებენ, რომ რუსეთი ნამდვილად დაიჭერს ჩრდილოეთ სპარსეთს, ხოლო ეს მეტად საშიში იქნება ინგლისისთვის, რადგან მაშინ რუსეთი ინდოეთის იმპერიას დაუახლოვდებაო. ამისთვის აუცილებლად საჭიროა, რომ ინგლისმა 1907 წლის შეთანხმება დაარღვიოს რუსეთთანაო.

სპარსეთის საქმეების თაობაზე, როგორც ვიცით, ინგლისელი დეპუტატები პარლამენტშიაც შეეკითხნენ მთავრობას. გარეშე საქმეთა მინისტრმა გრეიმ უპასუხა: იმედი გვაქვს, რომ გამარჯვებული რევოლიუციონერები ღონისძიებას მიიღებენ უცხოელების დასაცველად და საბუთს არ მისცემენ რუსეთს, რომ მან ჯარი შეიყვანოს თეირანშიო. სხვათა შორის გრეიმ საყურადღებო გარემოება აღნიშნა: ინგლისი არ აგებს იმის პასუხს, რასაც რუსეთი მოიმოქმედებს სპარსეთშიო, ესე იგი ინგლისი არაა მოვალე დახმარება გაუწიოს რუსეთს, თუ იგი გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდება სპარსეთშიო,

**ფრანგული პრესის რჩევა.**

ფრანგული პრესა ბეჯითად ურჩევს რუსეთს, რომ იგი ფრთხილად მოიქცეს და თეირანში ჯარი არ შეიყვანოს, მით უმეტეს, რომ იქ სრული წესიერება სუფევს და უცხოელებს არავითარი შიში არ მოელის. თეირანში შესვლა ადვილი იქნება, გამოსვლა-კი ძნელიო.

**რუსული პრესის რჩევა.**

რუსული პროგრესიული პრესაც გულმოდგინედ აფრთხილებს რუსეთის მთავრობას სპარსეთის განმანთავისუფლებელს მოძრაობას ხელს ნუ შეუშლითო, შაჰსა და ძველ წესწყობილებას დახმარებას ნუ გაუწევთო და თეირანში ჯარს ნუ შეიყვანთ, თორემ ესეთი მოქმედება ბოლოს სანანებლად გაგვიხდება და დიდს ზარალს მოუტანთ თითონ რუსეთსაო.

**რევოლიუციონერების სამხედრო უნარი.**

უცხოეთის გაზეთები აღნიშვნენ, რომ სპარსელ რევოლიუციონერების მეთაურებმა სეპეხდარმა და სარდალ-ასადმა დიდი სამხედრო ნიჭი და უნარი გამოიჩინეს თეირანის აღების დროსაო. მაგალითად, მათი ჯარი ჯერ დასავლეთის მხრიდან დაემუქრა თეირანს, და როცა შაჰის ჯარი იქით მხარეს გაიტყუა, თითონ უცებ მოტრიალდა და ჩრდილოეთის მხრიდან შევიდა თეირანში. საზოგადოთ, რევოლიუციონერები დიდს მოხერხებას და თავგანწირულებას იჩენდნენ ბრძოლაშიო, ამბობენ უცხოელი კორესპონდენტები.

**რას ფიქრობს რუსეთის დიპლომატია.**

3 ივლისს რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი პეტერგოფში წავიდა და სპარსეთის საქმეებზე საგანგებო მოხსენება მიართვა ხელმწიფე იმპერატორს.

რუსის დიპლომატთა წრეებში ძლიერ დააფიქრა თეირანის ამბებმა. დიდი ლაპარაკია იმაზე, შევიდეს რუსის ჯარი თეირანში თუ არა. ზოგი თხოულობს, რომ რუსეთი მხნედ და ფიცხად მოიქცესო. ზოგი, პირიქით, ფიქრობს, რომ თეირანში რუსის ჯარის შესვლა ინგლის რუსეთის შეთანხმებას გააუქმებს, რადგან ინგლისის საზოგადოება დიდად წინააღმდეგია, რომ რუსის ჯარი სპარსეთში შევიდესო. რაც შეეხება ინგლისის მთავრობას, ამბობენ, რომ იგი მთლად გატეხს სახელს, თუ ამას იქითაც მხარს დაუჭერს რუსეთის პოლიტიკას სპარსეთში. (რ. ს.)

## დეპეშები

(პეტერბ. ცნობათა სააგენტოსაგან)

7 ივლისი

**ოსმალეთი**

**სტამბოლი.** ნაშუადღევს 13 კაცი მათ შორის, ორი გენერალი, ორი პოლკოვნიკი და ცნობილი შეიხი ბახტიერი. დეპუტატთა პალატაში წაიკითხეს სპარსეთის ლიბერალურ კლუბის დეპეშა. დეპეშაში ნათქვამია, რომ სპარსეთის ტახტზე ახალი შაჰი ავიდაო. დეპეშას დეპუტატები ტაშისცემით შეხვდნენ პალატამ დაადგინა სპარსეთს დეპეშითვე მიულოცოს ახალი შაჰის ტახტზე ასვლა. კონსტიტუციის წლის თავის დღესასწაულის შემდეგ ახალი სამინისტრო შესდგება. ამბობენ, რომ დიდ ვეზირად მაჰმუდ-შევკეთ ფაშა დაინიშნებაო, მინისტრებად ახალგაზრდა თურქები.

**საზღვარ-გარედ.**

**მადრიდი.** კარლისტების პარტიის მეთაურმა ვარეზიდან დეპეშა მიიღო: დეპეშაში ნათქვამია, რომ გარდაიცვალა კარლოს ბურბონელი, მადრიდის გერცოგიო.

**ბერლინი.** დღისით ძველ ბეტანიკურ ბაღის ტრეკზე ერთმანეთს დაეჯახა ორი მფრინავი. ერთ მფრინავს ცეცხლი წაეკიდა. მფრინავები ისეთის სიძლიერით დაეჯახნენ ერთმანეთს, რომ ერთი მათგანი ბარიერს გადასცდა. მოკვდა 7, მძიმედ დაიჭრა 30 კაცი.

**კალე.** დილის 7 საათსა და 2 წუთზე ლატამი თავის ჰაეროპლანით აფრინდა. მას უნდა გადეფრინა არხი ლამანში. ჰაეროპლანი კარგად აფრინდა, მაგრამ მალე მფრინავი გაფუჭდა და ჰაეროპლანი ზღვაში ჩავარდა. ლატამი გემმა გადაარჩინა. ჰაეროპლანი გაფუჭებულია. ლატამი არ დაშავებულა.

**მადრიდი.** 5 ივლისს მაროკოში, მელილის ახლო სასტიკი ომი მოხდა. ომი 6 ივლისს დილამდე გაგრძელდა. იუწყებიან, რომ ისპანიელებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

**რუსეთი**

**ლოძი.** რამდენიმე შეიარაღებული ბოროტ-განზრახველი თავს დაეცა ბენძინის სოფლის საზოგადოების სამართველოს: ბოროტ-განზრახველებმა წაიღეს 32 პასპორტი, 55 საპასპორტო ბლანკი, 22 საზღვარგარეთის საპასპორტო წიგნაკი და მიიმალნენ.

**პინსკი.** შეიპყრეს ყაჩაღთა ბრბო. ამ ბრბოს რამდენიმე მკვლელობის და ცარცვა-გლეჯის ჩადენა ბრალდება. ყაჩაღებმა პოლიციას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. პოლიციამ მძიმედ დასჭრა ბრბოს მეთაური, მსუბუქად — ორი ყაჩაღი.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 68, გარდაიცვალა 36, მორჩა 38, ავად არის 852 კაცი.

**პეტერბურგი.** 5 ივლისს სტრელნის ახლო დიდმა ქარმა გადააბრუნა იახტა „ფეა". დაიღუპნენ გემის პატრონი ანდერსონი, მისი ძმა და ერთი მატროსი.

ამავე დღეს შუვალოვში დიდმა ქარმა გადააბრუნა ნავი. დაიღუპა მესაჭე — სპარტაკმენი შაროხინი.

პეტერბურგსა და პეტერბურგის გუბერნიაში განსაკუთრებული წესები 6 თვით კიდევ დასტოვეს. ზმეინო-გორსკის მაზრასა და სოფელ ზმეინოგორსკში გაძლიერებული წესები 6 თვით კიდევ დასტოვეს.

**ეკატერინოსლავი.** სადგურ ზაპოროჟიეზე დააპატიმრეს ბოროტგამზრახველი, რომელსაც რამდენიმე მკვლელობის ჩადენა ბრალდება როგორც ამბობენ, 4 ივლისის უბნის ზედამხედველი ამასვე უნდა მიეღოს. დაჭერის დროს მან პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია, დასჭრა ერთი მგზავრი.

**ოხანსკი.** დილა ადრიანა 40 მცველაკი ბორანით ერთ კუნძულზე გადადიოდა, მათ თან ცხენებიც ჰყავდათ. რაღაც მიზეზით ცხენები დაფრთხნენ და ბორანი გადააბრუნეს. დაიხრჩო 19 კაცამდე.

**პულტუსკი.** 10 შეიარაღებული ბოროტგამზრახველი რაკს დაეცა წისქვილის პატრონს. ბოროტგამზრახველებმა წაიღეს 1,300 მანეთი ფული და 800 მანეთის ოქრო და ვერცხლის ნივთები ამის შემდეგ მათ წისქვილის პატრონის საჯინიბოდან გამოიყვანეს ცხენები და გაიქცნენ დააპატიმრეს ერთი თავდამსხმელთაგანი.

**პეტერბურგი.** დონის-როსტოვში ოლქის სასამართლო მუშაობას დაიწყებს ამ წლის პირველ ოქტომბრიდან.

**პეტერბურგი.** ხოლერის მხრივ საშიშოდ გამოაცხადეს ვიტებსკის, კურლიანდის და ოლონეცკის გუბერნიები.

**პეტერბურგი.** არხანგელსკში ხოლერით ავად გახდა 8, გარდაიცვალა 6 კაცი. არხანგელსკის მაზრაში ხოლერით ავად გახდა 6, გარდაიცვალა 2 კაცი, პოლოცკში ავათ გახდა 4, რიგაში 4, გარდაიცვალა 2 კაცი.

## კიდევ პროვოკატორი

გაზეთ „მატენ"-ში დაბეჭდილია ბურცევის წერილი. ბურცევი სწერს, რომ რუსეთის საზღვარ-გარეთელი საიდუმლო პოლიციის აგენტები საფრანგეთის კანონებს ყურადღებას არ აქცევენო. მაგალითად, რუსეთის პოლიციის აგენტები მიწერ-მოწერის საიდუმლოებს არღვევენ და არღვევდნენო. „მე ბრალსა ვდებ, სწერს ბურცევი, რაჩკოვსკის, რატაევს, მანუილოვს, გარტინ-ლანდეზენს, რომ მათ თავიანთ [illegible] პარიზში [illegible] „შავი კაბინეტი" [illegible] ვდებ [illegible] რომელიც რუსეთის საელჩოში სცხოვრობს და აქვე აქვს თავის ბიურო. აქ ბინტი თავის აგენტების საშუალებით ხსნის წერილებს და კითხულობს. წერილებს ბინტი საფრანგეთის ფოსტის მოხელეებისგან ყიდულობს. ბინტი დახურულ წერილში ფოსტის მოხელეებს აძლევს 1 მ. 85 კაპ, ღია ღერილში 75 კაპეიკს. ბინტი ყიდულობს მარტო რუს ემიგრანტების წერილებს კი არა, არამედ ფრანგებისას, თუ ამ უკანასკნელების წერილები პოლიციისთვის რაიმე ინტერეს წარმოადგენენო." ეს წერილი ბურცევს საფრანგეთის იუსტიციის მინისტრისთვისაც გაუგზავნია.

**რუსეთის ელჩი ნეკლიუდოვი.**

ამავე გაზ. კორესპონდენტს ულაპარაკნია რუსეთის ელჩ ნეკლიუდოვთან. ნეკლიუდოვს კორესპონდენტისთვის უთქვამს, რომ თუ საელჩო ჩუმად იყო, ეს სრულებითაც იმას არ ნიშნავს, რომ რუს ტერორისტის ბურცევის ცნობები მართალი ყოფილიყოს. მე თავდაპირველად ძალლე ვიყავ პეტერბურგს შევკითხებოდიო. პეტერბურგიდან უკვე მივიღე პასუხი. აი პასუხიც: „შინაგან საქმეთა სამინისტრომ არაფერი არ იცის იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც ბურცევმა გამოაქვეყნა. არავის და არაფერს არ შეუძლიან დაამტკიცოს, რომ ლანდეზენი იგივე გარტინგია. ეხლა უცდიან გამოძიების შედეგს, რომელიც პარიზში სწარმოებს. გამოძიება დაამტკიცებს მართალია ბურცევის სიტყვები თუ არა. ამ შემთხვევაში რუსეთის მთავრობა უარჰყოფს აქ ხმებს. 19 წლის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტრო სულ გამოიცვალა და აღარავის არ ახსოვს ლანდეზენი. რაც შეეხება ბურცევს, იგი ტერორისტია. 15 წლის განმავლობაში ბურცევი ისეთ ტერორისტებს ხელმძღვანელობს, როგორც გერშუნი. ბურცევი სხვა და სხვა ტერორისტულ აქტებს იმუშავებს და ამ აქტებს უბრალო ხალხს ასრულებინებს. სოციალისტური, ლიბერალური და რადიკალური აზრები პატივისცემის ღირსნი არიან, მაგრამ ტერორისტები სულ სხვა საშუალებებს ხმარობენ — ეს რამდენიმე თვეა გარტინგს ოფიციალური თანამდებობა აღარ უჭირავსო" და სხვა.

**კიდევ გარტინგის ბიოგრაფიიდან.**

„ბერლ. ტაგებლატ"-ში დაბეჭდილია გარტინგის შესახებ წერილი. ეს წერილი მოყვანილია „რეჩ"-ში. მოვიყვანთ მოკლედ: „ოთხმოციან წლების დასაწყისში იურიევის უნივერსიტეტში თავისუფალ-მსმენლად იყო ჰყაარი აბრამ გეკელმანი. გეკელმანს რევოლიუციონურ წრეებში კარგად

# შეთანხმების იმედი

**1903 წლიდან 1909 წლამდე.**

1.

ჩვენს საზოგადოებრივ ჯგუფთა შორის უკვე ექვსი წლის განმავლობაში სწარმოებს კამათი ავტონომიის გარშემო და ეხლა ამ კამათს რომ გადავხედოთ, აშკარად დავინახავთ, რომ ავტონომიის საკითხი საქართველოში დღითი-დღე მეტ ყურადღებას და მნიშვნელობას ჰპოულობს, რომ ის ჯგუფები, რომელნიც ამ რამდენიმე წლის წინად სასაცილოდ ხდიდნენ ამ საკითხის წამოყენების საჭიროებას ჩვენში, დღეს ყურადღებით ეპყრობიან მას, სცდილობენ იმის შესწავლას და ასე თუ ისე გადაწყვეტას. მართალია, ჯერ კიდევ შორს არის ამ საკითხში ქართულ საზოგადოებრივ ჯგუფების შეთანხმების ხანა, ხოლო ამ შეთანხმებისათვის ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქმნა გადადგმული.

საქართველოს ავტონომიის წამოყენების საკითხს იმ დრომდე არ ექმნება პრაქტიკული და სერიოზული მნიშვნელობა, სანამ ორი დაბრკოლება და შემაფერხებელი მიზეზი არ იქმნება ძლეული. ერთი არის შეუთანხმებლობა ქართველ პოლიტიკურ პარტიათა შორის. მეორეა თვით საგნის შეუსწავლელობა და გამოურკვევლობა. როდესაც ეს ორი დაბრკოლება ძლეული იქმნება,—მოხდება შეთანხმება პარტიათა შორის (ამისი იმედი დიდი გვაქვს) და შემუშავდება რეალურ პირობების მიხედვით პრაქტიკული გეგმა საქართველოს ავტონომიისა, მაშინ ამ საგანს და ამ საკითხს ახალი დამაბრკოლებელი მიზეზი გაუჩნდება. მას წინ გადაეღობება მთავრობა და რუსეთის საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც დღეს არის პოლიტიკურად გამარჯვებული და შეიძლება იმ ჯგუფების ნაწილიც, რომელსაც დღეს კონსტიტუციის და დემოკრატიის დროშა უჭირავს ხელში. დღემდე არც მთავრობა (როგორც ეს სჩანს ნამესტნიკის მოხსენებიდან), არც ხსენებული რუსეთის საზოგადოებრივი ჯგუფები საქართველოს ავტონომიის საკითხს არავითარ სერიოზულ ყურადღებას არ აქცევდნენ, სამართლიანადაც არ აქცევდნენ, რადგან ყურადღების ღირსი (თუნდაც უარ-ჰყოფითი ყურადღების ღირსი) მხოლოდ და მარტოოდენ ის არის და ისა ხდება, რაც არა მარტო მომწიფებული და შესწავლილია, არამედ ისიც, რის განხორციელებისათვისაც ხალხი მოწადინებულია შრომა, ენერგია და ბრძოლა არ დაზოგოს. ჩვენში ეს ხანა ჯერ არ დამდგარა. ექვსი წლის განმავლობაში ქართული პოლიტიკური პარტიები გაცხარებულად და თავდადებულად ებრძოდნენ ერთმანეთს და ერთმანეთის დამხობას ჰლამობდნენ. დღეს ბევრი შეცდომის და უნაყოფოდ ძალთა დაქსაქსვის შემდეგ თითქოს გამოსჭვრეტს აზრი შეთანხმებისა, და როგორც შედეგი ამ შეთანხმებისა საგნის უფრო საფუძვლიანად შესწავლისა, მაგრამ აქაც საქმის დასაწყისში ვართ მხოლოდ. ასე რომ დღემდე ძლიერ ცოტა გაკეთდა იმისთვის, რომ საქართველოს ავტონომიის საკითხი სერიოზულ პოლიტიკურ საკითხად გამხდარიყო, რომ მთავრობასა და რუსეთის საზოგადოებასაც მისთვის ჯეროვანი ყურადღება მიექცია.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს ავტონომიას ჯერ მხოლოდ ჩამონასახის გარეგნობა აქვს საკითხი წამოყენებული იყო და მის გარშემო ასტყდა კამათი. ეს კი მხოლოდ პირველი საფეხურია ამ საგნის მსვლელობისა და განხორციელების საქმეში. დღეს გადადგმულია ახალი ნაბიჯი მეორე საფეხურისაკენ. მაგრამ იგი აქ ჯერ მკვიდრად არ არის დამდგარი. შეთანხმების ნიშნები მოსჩანს, ხოლო შეთანხმებამდე საქმე არ მისულა. გადავდგამთ თუ არა ფეხს მესამე საფეხურზე, სადაც დგომა გაცილებით უფრო სახიფათო და მძიმე იქმნება ამ ეროვნულ საქმის დასაგვირგვინებლად, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ ქართულ ინტელიგენციის იმ ნაწილმა, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს ხელმძღვანელობს და მათ სულს და აზრს შეადგენს, მეტი სიდინჯე, გამჭრიახობა და ცოდნა გამოიჩინა საგნის საფუძვლიანად შესწავლისათვის და შესწავლილ და გარკვეულ საგნის განსახორციელებლად ერთსულოვან მოქმედებას მოჰკიდა ხელი.

—

ქართულს პრესაში ავტონომიის შესახებ პირველად „საქართველომ" დაიწყო ლაპარაკი. ეს ორგანო გამოდიოდა პარიზში 1903—1904 წლებში. ამ ორგანოს პირველსავე ნომერში დაიბეჭდა რედაქციის „ღია წერილი რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა მიმართ". ამ წერილში, სხვათა შორის ვკითხულობთ: „ჩვენი სურვილი დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღდგენა არ არის. ნათლად და აშკარად ვამბობთ, ჩვენ პოლიტიკურ სეპარატიზმის მომხრენი არა ვართ. ჩვენი წადილი და მისწრაფება—განსაკუთრებულ, საქართველოს პირობებთან შესაფერი, კონსტიტუციის მოპოვებაა. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზმის ჩარჩოებში, მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეებში გვინდა ვიყვეთ სრულიად დამოუკიდებელნი. ერთის სიტყვით, ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ".[1]) გაზეთი სცდილობს უფრო ფართოდ დააყენოს საკითხი და საქართველოს ეროვნული ავტონომიის საკითხი დაუკავშიროს რუსეთის პოლიტიკურ დეცენტრალიზაციის საკითხს. იმავ წერილში ვკითხულობთ: „რუსეთის წინაშე შემდეგი პრობლემაა: შემუშავება იმგვარ წეს-წყობილებისა, რომელიც, ერთის მხრივ, ააღორძინებს სლავიანთა ელემენტს და მეორეს მხრივ, მშვიდობასა და თანხმობას დაამყარებს ცენტრსა და განაპირა ქვეყნებს შორის. ეს წეს-წყობილება, ჩვენის აზრით, რთულ დეცენტრალიზაციის სისტემაზე უნდა იყოს აგებული. ხოლო განმტკიცებული და განვითარებული დეცენტრალიზაცია რუსეთს ფედერატიულ წეს-წყობილებამდის მიიყვანს... ჩვენ, ქართველებს, გვგონია, რომ ჩვენი კერძო ეროვნულ ავტონომიის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ დიდ პრობლემასთან და ამიტომაც აღვძარით რუსეთის მომავალ ფედერაციის საკითხი".

ასე იწყო „საქართველომ" სჯა-ბაასი ავტონომიის შესახებ. გაზეთი შეუდგა ამ საგნის გამორკვევასა და მის წინაშე წარმოსდგა ახალი პრობლემა—კავკასიის საკითხი. გაზეთი ამბობს: „საქართველო ეკონომიურად ვიწროდ არის გადაბმული დანარჩენ ამიერ-კავკასიასთან. რაც დრო გავა, არსებული ეკონომიური ურთიერთობა და დამოკიდებულება მეტად განვითარდება. საერთო ეკონომიურ ინტერესების დასაცავად, კულტურულ საერთო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭიროა შესაფერ პოლიტიკურ ორგანიზაციის დაფუძნება... საქართველოს ავტონომია, ისე როგორც ავტონომია კავკასიის სხვა ნაწილებისა, პირველი პოლიტიკური ნაბიჯი იქნება რთულ ფედერალისტურ წესწყობილების დამყარებისათვის, ვინაიდან ფედერალიზმი იმ გვარი ფორმაა ხალხთა შეკავშირებისა, რომელიც თვითეულ ერს, მხარეს და პროვინციას სრულ თვით მოქმედებას ანიჭებს და, მეორეს მხრივ, განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებელ რამდენსამე ერს ერთ გამაგრებულ პოლიტიკურ მმართველობის ფორმას აძლევს[2])". ამ გვარად, საქართველოს ავტონომია, კავკასიის ფედერაცია და რუსეთის დიდი კონფედერაცია, გაზეთის აზრით, ერთი და იგივე პრობლემის შემადგენელი ნაწილებია. ასეთი იყო თეორიული საფუძველი „საქართველოს" პოლიტიკურ მიმართულებისა. მაგრამ უნდა ვსთქვათ რომ გაზეთი რუსეთის კონფედერაციის საკითხს ხშირად არ უბრუნდებოდა. მისი ყურადღება იყო მიპყრობილი კავკასიის საქმეებზე და განსაკუთრებით საქართველოს ავტონომიაზე. გაზეთის აზრით, საქართველოს ავტონომიის საკითხიც თუმცა დაკავშირებული იყო მთელ იმპერიის და კავკასიის მმართველობის რეორგანიზაციის საკითხთან, მაგრამ მას თავისი განსაზღვრული ფიზიონომია და დამოკიდებული მნიშვნელობაც ჰქონდა. თუ საქართველოში უკვე მომწიფებულა ეს საგანი და თუ ავტონომიის დაფუძნებისათვის უკვე არსებობენ საჭირო პირობები, საქმის გადადება სრულიადაც არ არის საჭირო იმ დრომდე სანამ ამ გვარადვე მომწიფდება ეს საგანი დანარჩენ კავკასიაში და მთელს იმპერიაში. რუსეთის მოუმზადებლობა კონფედერაციის წესწყობილების შემოღებისთვის არ მოასწავებს საქართველოს ავტონომიის შეფერხების საჭიროებას. და, ამ გვარად, გაზეთი თავის მთავარ ყურადღებას აქცევს საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზაციის გამორკვევას. ხოლო უნდა ვსთქვათ რომ დროის ვითარების მიხედვით, ავტონომიის საკითხის პრაქტიკულ ნიადაგზე დაყენება გაზეთმა ვერ მოახერხა. იმ ხანაში პრინციპის აღიარების საჭიროება სრულიად მომწიფებული იყო, ხოლო ამ პრინციპს ხორც-შესხმულობა ჯერ კიდევ აკლდა. დენაციონალიზაციამ მეტად ღრმა ფესვები გაიკეთა ჩვენს საზოგადოებაში და ეროვნულ ცხოვრების თითქმის არც ერთ დარგში არ იყო დამზადებული ხეირიანად შემუშავებული მასალა. ავტონომიურ ცხოვრებისათვის მოუმზადებელი გამოვდეგით.

ჩვენი ავტონომია გაზეთ „საქართველოს" განმარტებით უნდა იყოს პოლიტიკური და არა ადმინისტრატიული ავტონომია. საქართველოს

1) „საქართველო", N 1. 1 მაისი 1903 წ.

2) Ibid № 9.

იცნობდნენ. 1882 წელს გეკელმანი პეტერბურგის საიდუმლო პოლიციაში შევიდა. ამ დროს პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად პლევე იყო. პლევე გეკელმანს დაჰპირდა კარგ ადგილზე დაგნიშნავ, თუ მოინათლებიო. გეკელმანმა თანხმობა განაცხადა. გეკელმანი მონათლეს ბერლინში. ნათლიად იყო გრაფი მურავიოვი, შემდეგ გარეშე საქმეთა მინისტრი. სარწმუნოების გამოცვლის შემდეგ გეკელმანს გვარი გამოუცვალეს—გეკელმანის მაგივრად იგი გარტინგად გადაიქცა. გეკელმან-გარტინგი საზღვარ-გარედ წავიდა და აქ დაიწყო მუშაობა. როდესაც საზღვარ-გარეთის საიდუმლო პოლიციის უფროსად რაჩკოვსკის მაგივრად რატაევი დანიშნეს, ამ უკანასკნელმა პლევესთან იშუამდგომლა გარტინგის სტატსკი-სოვეტნიკობა მიეცითო, რაიც ასრულებულ იქმნა. გარტინგს საშუალება მიეცა თავის თავი „თითქმის გენერლად" ჩაეთვალა. 1901—5 წლამდის გარტიგნს ბერლინში რუსეთის პოლიციური აგენტის ადგილი უჭირავს. იგი მდიდრულად სცხოვრობს. წელიწადში ნახევარ მილიონ ფრანკს ხარჯავს. რუსეთის მთავრობასთან მითი მართლულობდა თავს, რომ საქმის გასაკეთებლად საჭიროა ქრთამების მიცემაო. ამავე დროს გარტინგმა შეირთო ბელგიელი ქალი და მზითვად 100,000 ფრანკი აიღო. ამასთან ერთად გეკელმანმა თავის ცოლს ნათესავებს 200,000 ფრანკი გამოართვა და ერთ ფორმაში კამპანიონად შევიდა. ამბობენ, რომ გარტინგს დიდი შეძლება აქვსო. ეს იქიდანაც სჩანს, რომ როდესაც აზეფის საქმეები გამოააშკარავეს, რუსეთის მთავრობამ მას წინადადება მისცა, სამსახურს თავი დაანებე და წელიწადში 4,000 მანეთ პენსიას დაგინიშნავთო. გარტინგმა ამაზე განაცხადა, მარტო ფული რად მინდა, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობა მომეცითო.

**რაჩკოვსკის ბიოგრაფია.**

ბურცევის სიტყვით რაჩკოვსკის თავის კარიერა პატარა პროვოკატორებით დაუწყვია. რაჩკოვსკის რევოლიუციონურ გაზეთებში დაუწყვია მუშაობა და აქედან „ნაროდნიკების" ორგანიზაციის წევრები გაუცვნია. ერთ დროს რაჩკოვსკი თანამშრომლობდა „ნოვოსტ"-ებში, და იგი ერთ რადიკალურ მწერლად იყო ცნობილი რასაც კი რედაქციებში ან სხვაგან იგებდა, ყველაფერს დამცველ პოლიციას აცნობებდა ხოლმე. მისი მოქმედება გამოაშკარავა რევოლიუციონერმა კლეტოჩნიკოვმა. ამის გულისთვის კლეტოჩნიკოვი პოლიციის დეპარტამენტში შევიდა მოხელედ. ამ საქმის გამო რაჩკოვსკი საზღვარ-გარედ წავიდა, სადაც მას რუსეთის საზღვარ-გარეთის საიდუმლო პოლიციის უფროსობა მისცეს. სხვათა შორის ლანდეზენმა რაჩკოვსკის შემწეობით მოაწყო 1890 წლის საქმე—ე. ი. ალექსანდრე მესამის მოკვლის განზრახვა.

**სტუდენტის მოგონებანი.**

ბერლინის უნივერსიტეტის სტუდენტად ნამყოფს გარტინგის შესახებ შემდეგი ულაპარაკნია: ამ ხუთი წლის წინედ რუსეთის კოლონია გირტინგის სახელს მშვენივრად იცნობდა. რუსებს თვალყურს გვადევნებდნენ ორის მხრივ გერმანიის და რუსეთის პოლიციის აგენტები ეს უკანასკნელები გერმანიის პოლიციის მფარველობის ქვეშ იყვნენ. იყო ისეთი შემთხვევები, რომ „ამხანგებით" შედიოდნენ სტუდენტის სახლში, მის იქ არ ყოფნის დროს, და სჩრეკავდნენ მის ქაღალდებს. ასეთმა საქციელმა ბოლოს გვაიძულა, რათაც გვინდა დაგვეჯდომოდა, გაგვეგო აგენტების გვარები და გაზეთებში გამოქვეყნებინა. სულ შემთხვევით გავიგეთ, რომ აგენტების მეთაურად ითვლებოდა ვინმე გარტინგი. ბერლინში მარტო ერთი გარტინგი აღმოჩნდა და ისიც „ვაჭარი", რომელიც მდიდრულად სცხოვრობდა. მაშინ მე გადავწყვიტე საელჩოში მეკითხნა გარტინგი. საელჩოს შვეიცარმა ჩემ შეკითხვაზე მითხრა, რომ „გარტინგი ეხლა აქ არ ბრძანდებაო". ბევრი ყოყმანის შემდეგ შვეიცარმა გარტინგის ადრესი მომცა. აღმოჩნდა, რომ „ვაჭარი" გარტინგი და რუსეთის საელჩოზე მიწერილი გარტინგი ერთი და იგივე პირი ყოფილიყო. ეხლა კი საქმე გაგვიადვილდა. დავუწყეთ თვალყურის დევნა და მალე ქალაქის განაპირა ადგილში აღმოვაჩინეთ სახლი, სადაც აგენტები და „როტმისტრი" (გარტინგი ასე იყო მოხსენებული საელჩოს საადრესო წიგნი) იკრიბებოდნენ. ჩვენ მოვახერხეთ გადაგვეღო „როცმისტრ" გარტინგის და მისი შტაბის ნაწილის სურათები გარტინგი ბევრს ფულს ხარჯავდა და ბერლინში დიდი გავლენა ჰქონდა, რა თქმა უნდა, „შენიშნულ და არა საიმედო" რუსების შესახებ. მისის წყალობით ბევრი რუსი გაჩხრიკეს და ბევრი მათგანი განდევნეს გერმანიიდან.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**ჩხუბი ბაღში.** ტფილ. პოლიციის ოქმში ასეა აწერილი სათავად-აზნაურო ბაღში 5 ივლის ღამე მომხდარი ამბავი, რომლის შესახებაც დიდი მითქმა-მოთქმაა ქალაქში. „5 ივლის, ასე 12 საათი იქნებოდა, სათავად-აზნაურო ბაღში, საპატიმროთა კომიტეტის სასარგებლოდ გამართულ სეირნობის დროს, ერთს მაგიდასთან იჯდა „ზაკავკაზიეს" რედაქტორი თავ. გ. რ. ამირეჯიბი. ამ უკანასკნელმა შენიშნა, რომ იქვე იმის მახლობლად მეორე მაგიდასთან ჩამოჯდა გაზ. „ტიფ. ლისტ." რედაქტორი ქრისტეფორე ხაჩატუროვი. მასთან იყვნენ ორლოვსკისა თავის ქალით და მამით თავ. მიქელაძეთი თავ. ამირეჯიბმა აღნიშნულ პირთ ქართულად დაუწყო ცუდად ხსენება. ამის გაგონებაზე თავ. მიქელაძე მივიდა თავ. ამირეჯიბთან და სთხოვა, თავი გაენებებინა მათთვის. თავ. ამირეჯიბს მხარი დაუჭირეს ნაფ ვექილის თანაშემწემ წერეთელმა და მოხელემ თავ. მიხეილ ქავქავაძემ, რომელნიც ჰყვიროდნენ: „დაიკარგოს აქედან ხეჩატუროვი თავის მანდილოსნითაო". ამ სიტყვებით მოთმინებიდან გამოსულმა ორლოვსკისამ ორჯელ სილა გაარტყა ლ. წერეთელს, ხოლო თავ. ქავქავაძემ ბოდიში მოიხადა ხეჩატუროვის წინაშე. შემდეგ ნაშუაღამევის სამი საათი იქნებოდა; ლ. წერეთლის ჯგუფს გამოეყო სამსახურს გარეშე მყოფი სოტნიკი თავ მ. ორბელიანი, მივიდა ხეჩატუროვთან და რამდენიმე სიტყვის სათქმელად განზე გაიხმო. ეს უკანასკნელიც ადგა და გაჰყვა თავადს ფარდულში. იქ თავ. ორბელიანმა ხმის ამოუღებლად ორჯელ გაარტყა ხაჩატუროვს სახეში, ამ უკანასკნელმაც ისევე გასცა პასუხი. მაშინ თავ. ორბელიანი წვდა ყელში ხაჩატუროვს და მიახეთქა კედელზე. ეს შენიშნეს სტ. ყანჩელმა, ლ. წერეთელმა და თავ. მაყაშვილმა, მისცვივდნენ ხაჩატუროვს და რამდენჯერმე დჰკრეს ზურგში, ამის შემდეგ მორჩხუბარნი გააშველეს და წესიერება აღადგინეს".

**რუსის გლეხების მოტყუება.** გუშინ რუსების გადმოსახლებელ სამართველოში მივიდა 5 რუსის გლეხი ვორონეჟის გუბერნიიდან როდესაც გამოჰკითხეს გამოირკვა, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ერთს მოხელეს, ალბად ამ გლეხთა მეზობელს, მიუწერია გლეხებისათვის: ჩამოდით კავკასიაში, აქ ბევრი ადგილებია და დასახლდით ამ ქვეყნიურ სამოთხეშიო. გლეხებს, ამ ამბით გახარებული, შეუგროვებიათ სამგზავრო ფული და ჩამოსულან ტფილისში. ტფილისიდან მათ იმავე მოხელის რჩევით, გლეხები წასულან იმ ადგილების დასათვალიერებლად, სადაც ისინი უნდა დასახლებულიყვნენ. გამოირკვა, რომ ეს ადგილები, სოფელ ძეგვს მახლობლად, გორის მაზრაში, არა თუ სახნავად, საძოვრადაც არ გამოდგება. ამ გარემოებით სასოწარკვეთილმა გლეხებმა სთქვეს: ყოველი კაცი ჩვენ გვატყუებს, გამოგვიწვიეს იმ სიშორიდან, ვითომ კარგ ადგილზე დასასახლებლად და ეხლა უკან უნდა დავბრუნდეთ ცარიელ ტარიელნი, მაგრამ რათ გრომში ფული არ გაგვაჩნიაო. გლეხებმა სამართველოს სთხოვეს გზის ფული. როგორც გადმოგვცეს, სამართველო გზის ფულს ვერ უხერხებს და გლეხებმა არ იციან, რა ჰქნან. აი როგორ დახმარებას უწევენ რუსის პატრიოტები რუსის გლეხობას!

**ხარჯთ-აღრიცხვა.** საბოლოოდ შემუშავდა და საკანონმდებლო დაწესებულებებშიაც დამტკიცდა ხარჯ-აღრიცხვა ამიერ კავკასიისა 1909—1011 წლებისთვის. ამ ხარჯთ-აღრიცხვით, საერობო თანხებიდან გზების შესაკეთებლად უნდა გადაიდოს 1,200,589 მანეთი წელიწადში, სწავლა-განათლებისთვის—340,129 მ., საექიმო საქმისთვის—1,110,669 მ. და სხვა.

**საქმის გადატანა.** ახალ-სენაკის საქმის გამო ბრალდებულთ უკვე გადაიტანეს საკასაციო საჩივარი მთავარ-სამხედრო სასამართლოში.

**რკინის გზა კავკასიონის მთაზე.** „ტერეკი" სწერს: მთავრობის წრეებში უკვე გადასწყდა საკითხი კავკასიონის უღელ-ტეხილზე რკინის გზის გაყვანის შესახებ.

**არდონის სასულიერო სემინარია.** სასულიერო მთავრობას დაუდგენია, არდონის სასულიერო სამინისიონერო სემინარია გადააკეთოს სრულ ნორმალურ სემინარიად.

**ხორცის ნიხრი.** ტფ. გუბერნატორმა დაამტკიცა ახალი ნიხრი ხორცისა. ამ ნიხრით ტფილისში ძროხის ხორცი უნდა გაიყიდოს 11 კაპეიკად, ცხვრისა—13 კაპ.

**ეგზარხოსის მოადგილე.** ეგზარხოსის მოადგილე ეპისკ. გრიგოლ, როგორც ვწერდით, 5 ივლისს პეტერბურგს უნდა წასულიყო. ეპისკოპოსი ველარ წავიდა, რადგან ტფილისში მას მამა გარდაეცვალა.

**სომხების სკოლები.** სომხეთა საქველმოქმედო საზოგადოებას სხვა და სხვა სოფლებიდან მოსვლია შუამდგომლობა ახალ სკოლების დაარსების შესახებ (ტ. ლ.)

**შემოწირულობა.** ეკატერინე იოსების ასულმა კოლეჟსკის სოვეტნიკის იურიევის ქვრივმა და ელისაბედ იოსებ ფიცხელაურის ასულმა მათის ძმის დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის მიხეილ იოსების ძის ფიცხელაურის სახსოვრად, შესწირეს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას 70 ცალი წიგნი შემდეგის სათაურას: „პარაკლიტონი", „კურთხევანი", „სამოციქულო", ვარლამ ექსარხოსის „განმარტება სახარებისა, საუფლოთა და ღვთის მშობლის დღესასწაულთ და სწავლანი კეთილ ჩვეულებათა მასწავლებელნი", „სპარსული სახარება", „კონდაკი", „დავითნი", „ჟამნი" და „ქართული გრამატიკა".—ეს ქართული წიგნები ხუცურად დაბეჭდილია მოსკოვს და პეტერბურგს 1815—1825 წლებში, რუსული წიგნები: Начертаніе цевковной исторіи отъ библейскихъ временъ до XVIII вѣка, отдѣленіе I, Архимандрита Иннокентія,. 1838 г.; Библія (славянская) 1813 г.; და ჟურნალები: Кавказскій вѣстникъ 1901 и 1902 г., изящная литература 1883 г., заграничный вѣстникъ 1883 г. და Русскея рѣчь 1879, 1880 и 1881 г. г.

**კომისიის სხდომა.** დღეს, 8 ივლისს საღამოსთვის კავკ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია სხდომა განსაკუთრებულ კამისიისა გ. მ. თუმანოვის თავმჯდომარეობით, კამისიამ უნდა შეიმუშავოს გეგმა საერობო დაწესებულებათა შესახებ მასალის მოკრებისა შემუშავებისა.

**ქალაქების წარმომადგენელთა კრე'ა.** როგორც გავიგეთ, ტფ. გუბერნატორი თანაგრძნობით მოეკიდებია ტფ. ქალაქის თავის მოადგილეს ა. ი. ხატისოვის შუამდგომლობას კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრების შესახებ. გუბერნატორი ამ დღეებში გაუგზავნის კავკასიის ნამესტნიკს აღნიშნულ შუამდგომლობას. კრება განზრახულია დაინიშნოს 12 სექტემბრისათვის. ამავე საკითხის შესახებ ტფილისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით საგუბერნიო თათბირი დაიწყება 14 ივლისს.

**მცოდნე კაცები.** ტფ. გუბერნატორმა წინადადება მისცა ტფ. ქალაქის თავის მოადგილეს წარადგინოს სია იმ პირთა, რომელნიც თავის ცოდნითა და გამოცდილებით დახმარებას ... კრებას ერობის საკითხის განხილვის დროს.

ტფ. გუბერნატორმა დააჯარიმა: 3 მან.—ბეგლარ ახვლედიანი, არტემ არუთინოვი, ივანე ბერიევი, ივანე ხაჩიტიევი და ივანე ტურაძე.

6 ივლისს ჩხრეკის დროს შუა ბაზარში დააპატიმრეს 5 კაცი, ერთს, ილია დათიკელაშვილს ჯიბეში აღმოაჩნდა ფინური დანა, რომლის ტარების ნება არა ჰქონდა. ამავე დღეს პოლიციელებმა დააპატიმრეს ალექსანდრე ასლამაზოვი, რომელიც შემახის პოლკიდან გამოპარულა. დაპატიმრებული საკომენდანტო სამართველოში გაგზავნეს.

# მოწერილი ამბავი

**გორი.** ბევრი მხარე შეჰნატრის ჩვენს ქვეყანას ბუნების სიმშვენიერე—სილამაზეში. და მართლაც, ამ მხრივ მდიდარნი ვართ. ჩვენში ბუნებას სიმდიდრეს ხელს უწყობს ყოველ მხარეს მრავლად გაფანტული შესანიშნავი სიძველენი უტევი მოწმენი ჩვენის წარსულისა. განვლილ დროთა. მაგრამ, ჩვენდა სამარცხვინოდ, ბევრს ამგვარ საყურადღებო ადგილს ან სრულიად არ ვიცნობთ, ან მხოლოდ ორიოდე კაცს გაუგონია რამ, ზერელედ და მით კმაყოფილდება. მაგალითისთვის ავიღოთ გორის ციხე. ძლიერ ცოტამ იცის ამ ციხის მთელი წარსული და უფრო ცოტას უნახავს თვალით მისი ბუნებრივი სიმშვენიერე—სილამაზე. ამ დღეებში დავათვალიერე ეს იშვიათი ციხე, რომლის მოწყობილობამაც აღტაცებაში მომიყვანა. ციხეს უდგება როგორც საცალფეხო, ისე საეტლო გზა. ციხის კიბეზე ასვლის შემდეგ თქვენს თვალწინ იშლება საუცხოვო სურათი. უჭირავს ციხეს ვებერთელა, მწვანით შემოსილი მინდორი რომელსაც მედიდურად დაჰყურებენ გარშემო მაღალი დროჟამისაგან შეწითლებული ქვის კედლები. ციხის მიდამო სავსეა ბაღის ხეებით: ნაძვი, ვაზი, ხეხილი და სხვა უბრალო სანრდილავი ხეები დარგული. არის საკმაოდ ყვავილებიც როგორც ბუნებრივი ისე დარგულიც. შუაგულ მდელოზე წყლის აუზია, რომლისაც მხარს უმშვენებს ძველებური ვებერთელა მაწური საკანი, რომლის თავი უკვე ჩაქცეულა. საყურადღებოა აგრეთვე ძველი ეკლესია, ციხის კედელშივე მოქცეული ხვრელი, რომლიდაც ვიხის სამაღლიდან მდინარე ლიახვამდე ჩაყვანილი, ძველი ქვევრები და ახლად ამოყვანილი წყლის

---

პარლამენტი აღჭურვილია კანონმდებლობით უფლებებით. ცენტრალურ მმართველობის კონტროლიდან გამოყოფილია ბიუჯეტი, სამსჯავრო, ეკლესია, სწავლა-განათლების საქმე, ადმინისტრაცია, მილიცია, კანონდება სოციალ კულტურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ტერიტორიის საზღვრების განსაზღვრის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ ერთის მხრივ 1783 წლის ხელშეკრულობით, რომლის ძალით რუსეთს უერთდებოდა ქართლ კახეთი საინგილო, ეხლანდელი ტფილისის გუბერნია, მეორეს მხრივ უნდა ვიხელმძღვანელოთ იმითი, თუ ქართველთა ტომის ხალხი, სადა და ხად სახლობს. ამრიგად მომავალ საქართველოს ტერიტორიად, გაზეთის აზრით, უნდა იყოს: აფხაზეთი, სამურზაყანო, სამეგრელო, სვანეთი, გურია, იმერეთი, ლაზისტანის ნაწილი, ახალციხის მაზრა (ძველი სამცხე-საათაბაგო და ჯავახეთი), ქართლი, მთიულეთი, ხევი (დარიალამდე, სომხითი, კახეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, საინგილო[3]). ავტონომია დაფუძნებულია დემოკრატიულ პრინციპზე. საერო თუ სამოქალაქო დაწესებულებებში დეპუტატებს თუ მოხელეებს ხალხი ირჩევს საყოველთაო საარჩევნო უფლებათა პრინციპზე (აქვე). ამ რიგად, გაზეთი „საქართველო" სამ მთავარ-დებულებას აღიარებდა: ავტონომიის **ტერიტორია** ის არის, სადაც ქართველები სახლობენ. ავტონომიური დაწესებულებანი **დემოკრატიულ** საფუძველზე შენდებიან. საქართველოს ავტონომია არის ავტონომია **პოლიტიკური** და არა ადმინისტრატიული. სახელმწიფოებრივობა, დემოკრატიზმი, ტერიტორია—ამ ელემენტებისაგან შესდგება მომავალი ორგანიზაცია საქართველოს ავტონომიისა.

[3] ibid. № 2.

გამოვიდა თუ არა „საქართველო", რედაქციას, სხვათა შორის, რამდენიმე უკმაყოფილო წერილი მოუვიდა. ზოგიერთი ამ წერილთაგანი დაიბეჭდა კიდევაც გაზეთში. წერილების ავტორები პროტესტს აცხადებენ იმის გამო, რომ გაზეთი საქართველოს სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დამცველად კი არ გამოვიდა, არამედ მარტო ავტონომიისა. ავტორებს შესაძლებლად მიაჩნიათ დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაარსება და ამ საქმისათვის მათ ევროპიელების დიდი იმედი ჰქონდათ. ევროპა კავკასიას ნეიტრალ ტერიტორიად გამოაცხადებს და საქართველოც რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლდებაო. უნდა ვსთქვათ, რომ ევროპიელების იმედით გულს დღემდე იკეთებდა ზოგიერთი ნუგეშ-გამოლეული ქართველი., თუ სეპარატიულ სახელმწიფოს დაარსებას არ იკისრებს ევროპა, უარს არ გვეტყვის დახმარება აღმოგვიჩინოს დათრგუნულ „ისტორიულ უფლებათა" ასადგენათო. ჩვენ ქვემო გვექნება ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა პასუხი გასცა ჰააგის კონფერენციამ საქართველოს „ისტორიულ უფლებათა" მაძიებელთ, ახლა კი ისევ დავუბრუნდეთ იმ აზრის ვითარებას, რომელიც ავტონომიის" გარეშემო აღმოცენდა. სეპარატიზმისა და ისტორიულ უფლებათა შესახებ სჯა-ბაასი იმ ხანაში არ შეწყვეტილა. ამ საკითხმა ამოჰყო თავი ქართველ რევოლიუციონერთა პირველ კონფერენციაზედაც, რომელიც იყო მოწვეული ჟენევაში 1 აპრილს 1904 წელს და რომელიც საქართველოს სოც.-ფედერალისტთა პარტიის დამფუძნებელ კრებად ჩაითვლება. კონფერენციის 4 აპრილის სხდომაზე უარ-ჰყოფილ იქმნა სეპერატიზმი.

კამათის შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია. მოგვყავს ამ რეზოლიუციის ბოლო: „ქართველ რევოლიუციონერთა კონფერენცია უარჰყოფს სეპარატიზმს, რომელიც კიდევ არ ჩაითვლება ერთა სოციალურ განვითარებისა და ერთა შორის სოლიდარობის გამტკიცების თავდებად და აცხადებს, რომ განვითარებულ საქართველოსთვის საუკეთესო და უსაჭიროესი პოლიტიკური წესწყობილება უნდა იყოს ავტონომიური საქართველო, სხვა ერებთან ფედერატიულად შეკავშირებული[4]). რაც შეეხება ისტორიულ უფლებათა პრინციპს, რეზოლიუციაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. მართალია, კამათის დროს აშკარა იყო, რომ კრება ამ უფლებათ მაინც და მაინც დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა. მაგრამ საგანი იმდენად სერიოზულია, რომ მის გამორკვევას მეტი ყურადღება ესაჭიროებოდა. გაზეთი „საქართველო" არ უარჰყოფს ამ საკითხის მნიშვნელობას. მას პირველ ხანაში თითქოს საერთაშორისო სამსჯავროს იმედიც ჰქონდა. გაზეთი ამბობს: „წარსულმა ცხოვრებამ გვიანდერძა ისტორიულ შელახულ უფლებათა აღდგენის მოვალეობა. ზნეობრივი და კანონიერი უფლება გვაქვს პასუხი მოვსთხოვოთ მთავრობას. თუ საერთაშორისო სამართალს რაიმე ძალა და ფასი აქვს, ამ სამართალმა უნდა განგვსაჯოს დასაწყისში და წართმეული დაგვიბრუნოსო[5]) ასე სჯიდა გაზეთი. შემდეგში მას ამ მხრივ ოპტიმიზმი დაეკარგა. რედაქციაში თანდათან მოგროვდა საინტერესო მასალა, რომელიც ნათელს ჰფენდა იმ საგანს, თუ რას უნდა მოელოდეს საქართველო ევროპისაგან, ჩვენ ხელში გვაქვს ევროპის სხვა და სხვა კუთხიდან გამოგზავნილი თანაგრძნობის წერილები, რომელნიც „საქართველო" „—La Géorgie"-მ მიიღო დღიდან გამოსვლისა. წერილები იყო საფრანგეთიდან—პარლამენტის დეპუტატ ანტიდ ბოიერისაგან, ლეროა ბოლიესაგან, ელიზე რეკლუსისაგან, პიის კილიარისაგან; გაზეთს სწერდა ინგლისიდან ოქსფორდის პროფესორი იორკ პაულისი, დანიიდან ჟორჟ ბრანდესი, შვეციიდან ერიკ რუზენი, პორტუგალიიდან ლისაბონის გაზეთის რედაქტორისაგან კასიეე და კარვალოსაგან, იტალიიდან პიეტრო მაძინი და სხვა. ევროპის პრესაშიაც წერილები დაიბეჭდა საქართველოს შესახებ: „პოლიტიკენში" № 180, 1903 (დანია); „La Ptite Respublique"-ში და „Europein"-ში № 80, 1903 (საფრანგეთი) „Times"-ში (ინგლ.) „Tribune de Geneve"-ში (შვეიც.) ფლამანელების სამეცნიერო ჟურნალ „Onwokig"-ში და სხვა.

[4]) ოქმები ქართველ რევოლიუციონერთა პირველ კონფერენციისა, გვ. 176—183. „საქართველოს" გამოცემა პარიზი. 1903 წ.

ყველა ამ წერილებს (კერძო პირებისაგან გამოგზავნილებს თუ გაზეთებში დაბეჭდილებს) რომ დააკვირდეთ, დაინახავთ, რომ ევროპიელების თანაგრძნობა პლატონიური ხასიათისაა და მას რეალურ პოლიტიკის მიმდინარეობაზე ფრიად მცირედი გავლენა უნდა ჰქონდეს. ინგლისი, მაგალითად, სხვებზე მეტად უნდა ყოფილიყო დაინტერესებული კავკასიის საკითხით, მაგრამ გაზეთ „Times"-ში ჩვენ არავითარ ამ ხასიათის ინტერესის გამოქდავნებას არა ვხედავთ. გაზეთი სარგებლობს იმ მასალით, რომელსაც „La Gérgie"-ში ჰპოულობს და მოუთხრობს მკითხველებს, ესა და ეს მოხდა საქართველოში, ქართველები ამა და ამას თხოულობენო, სხვა არაფერი[6]). ჟენევის გაზეთი „Tribune de Geneve" სწერს: „La Gèrgie"-ში ერთ მოწინავე წერილს სათაური აქვს: საქართველო და კავკასიის ფედერაცია. სხვას რომ თავი დავანებოთ, თვით წერილის სათაურიც დიდმნიშვნელოვანად მიგვაჩნია. გაზეთი ბევრს არას ამბობს, რატომ მიაჩნია დიდმნიშვნელოვანად ეს გარემოება და ამნაირად დასძენს: „ქართული ჟურნალი, პარიზში დაარსებული, ფედერატიულ მოძრაობას ემსახურება. ეს გარემოება იმდენად საყურადღებოა, რომ მისი აღნიშვნა საჭიროდ მიგვაჩნიაო[7])... სხვა გაზეთშიაც თანაგრძნობის მეტს არაფერს ვპოულობთ. კერძო წერილებში, რომელიც რედაქციას მოუვიდა, ყველაზე მეტად საყურადღებოა ანატოლ ლეროა ბოლიესი. აი ეს წერილიც: „ბ-ნნო რედაქტორებო, მოხარული ვარ, რომ გამოგიგზავნიათ თქვენი ახალი გაზეთი „La Gèorgie". ვიცნობ თქვენს ლამაზ სამშობლოს, რომელიც ეჭვს გარეშე ქვეყნის უმშვენიერეს კუთხედ ჩაითვლება. მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი იმ პოლიტიკისთა, რომელსაც საგნად თქვენი ქვეყნის გადაგვარება და გარუსება ჰქონდა. როგორც თქვენი გაზეთის პირველ ნომერშიაც არის ნათქვამი, მე ყოველთვის იმ აზრისა ვიყავ, რომ რუსეთის სახელმწიფოს ორგანიზაციაში კავკასიის სხვა-და-სხვა ერი და აგრეთვე იმ ერებსაც, რომელნიც ევროპის საზღვრების მომიჯნავენი არიან, უნდა მიენიჭოს ავტონომია, რომელიც მათ ისტორიულ ცხოვრების დაცვის გარანტიად გახდება. ცენტრალისტურ ხასიათის რუსეთი, თუნდაც რომ ლიბერალური დაწესებულებანი დააწესონ იქ, ყოველთვის იქმნება დამჩაგვრელი პატარა ერთათვის. ამრიგად, ბატონებო, თქვენს სურვილს ერის შენახვისას ყოველთვის თანაუგრძნობენ ყველა ლიბერალები, რომელთაც როგორც მე, ჰგონიათ, რომ პატარა ერებს სრული უფლება აქვთ დაიცვან თავიანთი ვინაობა და ენა. ვისურვებ, რომ თქვენ ყოველთვის იხელმძღვანელოთ წინდახედულობით და სიბრძნით, რომელნიც თქვენ სამართლიანის საქმის დღევრგვინების თავდებად შეიქმნებიან. გთხოვთ ირწმუნოთ ჩემი ერგული თანაგრძნობა. ანატოლ ლეროა ბოლიე 27 მაისი 1903. პარიზი".

აშკარაა, ამ ხასიათის თანაგრძნობით ქართველები საერთაშორისო ცხოვრების წრეში ფეხს ვერ წასდგამდნენ და თუ მათთვის ისტორიულ უფლებითა დათგუნვის საკითხი მაინც მნიშვნელობას არ ჰკარგავდა, ეჭვს გარეშეა, რომ ისინი საერთაშორისო სამსჯავროს მიერ მაინც და მაინც დაიმედოვნებულნი არ უნდა ყოფილიყვნენ, დღევანდელ პირობებში მაინც.

**არჩილ ჯორჯაძე.**

(შემდეგი იქნება).

[5]) „საქართველო" N 3.
[6]) „Times" 15 აგვ. 1903 წ.
[7]) Tribune de Geneve 5 ნოემ. 1903 წ.

მილი, რომლითაც ამოაქვთ წყალი ბაღის მოსარწყავად.

გორის ციხე მრისხანედ გადასცქერის თითქმის მთელ მაზრას. საამურად დაჰყურებ მიკიბ-მოკიბულ ლიახვის ველ-მინდვრებს. საამურადა ბრწყინვალეა აქ მთელი დრო, მაგრამ ცოტასა აქვს სურვილი. და ხალხი ამის გამოცდისა გარეშე ადგილებს რომ თავი გავანებოთ, თვით გორსა და მის ახლო-მახლო სოფლებში მრავლად მოიპოვებიან თურმე ისეთნი, რომელთაც ციხე მხოლოდ გარედან თუ დაუნახავთ, თორემ შიგნით რას წარმოადგენს იგი არ იციან.

ციხე, როგორც ვიცით, გამშვენებულია განსვენებულ ამილახვრის მიერ, და გორელებს ისიც — კი ვერ მოუთმენიათ რომ ასეთ ადგილზე თუ გულშემატკივრობა ვერ გამოუჩენიათ, ზარალსა და ვნებას მაინც ნუ მიაყენებენ. როგორც ციხის დარაჯმა გადმოგვცა, გახშირებულია თურმე ქურდობა. მერე რა უნდა მოიპარონ ციხის გალავანში? ამოაძრობენ თურმე უგავილს ან ნერგს ფესვებიანად, მოხსნიან ჭახრაკებიანს წყლის მილს, და სხვა ამგვარ სისაძაგლეს სჩადიან. სირცხვილია ესეთი ქცევა. გორელებისათვის ეს ციხე თვალის ჩინი უნდა იყოს, უნდა ამაყობდნენ მითი. ქალაქმა უნდა ითაოს და ამილახვრის მიერ დაწყებული საქმე განაგრძოს და ციხის გამშვენიერებაზე იზრუნოს. ციხე განათებულ უნდა იქმნას. ციხის შუაგულ მინდორზე რომ ერთი ელექტრონის ფარანი დასდგას, მთელი მიდამო გაბრწყინდება. ეს მით უფრო ადვილია, რომ ელექტრონის სინათლით მთელი ქალაქია გაჩირაღდნებული და თვით ციხის მისავალთანაც სდგას ერთი ფარანი. ამის ასასრულებლად საჭიროა მხოლოდ ერთი ბოძი და რამდენიმე საჟენი მავთული. მაშინ, შებინდებისათანავე ციხის კარები აღარ გამოიკეტება, სიბნელის მოყვარულთ ქურდობის ჩადენა გაუძნელდებათ, და სიამოვნების მსურველიც მეტ ხანს დარჩება. სასურველია, აგრეთვე ციხის გალავანში გამართულ იქმნას პატარა ბუდკა, სადაც მსურველს შეეძლოს სასმელ წყლის და ჩაის მიღება, რომ წყლისთვის ადამიანს ნაადრევად ციხიდან წასვლა არა სჭირდებოდეს. ამგვარად გაუმჯობესებული ციხე უეჭველად თან და თან მიიზიდავს მსურველთ და სახელს გაუთქვამს ციხეს.

**ჯაფარ-ფაშა.**

—

**თელავი.** 15—18 ივნისს თელ. სასულიერო სასწავლებელში მოხდა თელავ-სიღნაღის სამღვდელოების დეპუტატთა კრება, რომელშიაც შედის თიანეთის მაზრაც. კრებაზე გამოცხადდა 9 დეპუტატი, 5 სიღნაღის მაზრიდან და 4 თელავ-თიანეთიდან. ამათ ადგილობრივი მღვდლებიც მიემატნენ, თუმცა ამათ ოფიციალურად ხმა არა ჰქონდათ, არც თათბირში და არც საკითხის გადაწყვეტაში. კრება მცირე რიცხოვანი იყო, მაგრამ შესანიშნავი-კი თავისს შინაარსით, აურ-ზაურით და ჩხუბ-დავიდარაბით. რაც კრებაზე მოხდა, იმის გამოფენას ვერა ვბედავ, და არც სასურველია, ჩვენ სულიერ მამათათვის. ჯერ კრებაზე გარეშე პირთა დასწრება არ უნდოდათ და პირველად ამისი სურვილი გამოაცხადა მღ. ალადაშვილმა. (კრება სადმე სოფელში რომ დაენიშნათ, მაშინ გარეშე პირნი საშიშნი აღარ იქნებოდნენ, როგორც მოიქცა ამას წინად სამრევლო სკოლების მეთვალყურე მ. მავლიაშვილი, როცა საბლაღოჩინო კრება ს. იყალთოში დანიშნა).

რასაკვირველია პირველად თავმჯდომარე უნდა აერჩიათ. კენჭი უყარეს მ. ნინიკაშვილს, ცინცაძეს და დეკანოზიშვილს. ამ უკანასკნელს მეტი ამოუვიდა. თუმცა მაშინვე ბევრს არ ესიამოვნა და ზოგმა მოითხოვა კიდეც ხელ ახალი არჩევანი, მაგრამ მ. დ. დეკანოზიშვილმა თავმჯდომარის ადგილი დაიჭირა.

კრებამ განიხილა სასულიერო სასწავლებლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც წარადგინა სასწავლებლის გამგეობამ. კრებამ ბევრში არ დაუთანხმა გამგეობას, ზოგი მუხლი შეამოკლა, მაგ. ჯამაგირების მომატებაზე, აღმზრდელის მეორე თანამდებობა გააუქმა,—ბიბლიოთეკაზე, გამგ. საქმის წარმოებაზე და სხვა. ხშირად კითხვებში ერეოდნენ გამგეობის წევრნიც. შემდეგ კლესიების კრებული დაჰყვებს ფულის შესაწერად. აურ-ზაური გამოიწვია თელავის სანთლის საწყობმა. ამ სანთლის საწყობის მადა ბევრსა აქვს გაღვიძებული, ბევრს უნდოდა მისი გამგებლობა, მაგრამ კრება ყოველთვის უარზე იყო.

ერთი ასეთი მღვდელთაგანი მ. ივ. ლამხაურია. თუმცა მისთვის წინადაც უარი უთქვამს კრებას, მაგრამ წელს კვლავ გამოცხადდა თხოვნით. საწყობის გამგებლობა მოესურვებინათ აგრეთვე კრების თავმჯდომარეს დიმ. დეკანოზიშვილს და ს. ალადაშვილს. ამიტომაც იყო, რომ კრებამ თავმჯდომარის წინადადებით დაადგინა, სანთლის საწყობი სამღვდელოების ხელში გადავიდესო. მღ. ნინიკაშვილი სამართლიანად წინააღუდგა ამას, რასაც იმაზე აფუძნებდა რომ ეხლა საუკეთესოდაა საქმე დაწყებული და მღვდლების საქმე არ არის ვაჭრობაში ჩარევაო. დასვეს საკითხი საწყობის გამგეზე. მღ. ლამხაურს კენჭი არ უყარეს. კენჭი უყარეს მღ. დეკანოზიშვილს და ალადაშვილს. ალადაშვილს მეტი ხმა ამოუვიდა. ამაზე შეხტა თავმჯდომარე, დაიწყო ერთი აურ-ზაური და სთქვა, სიღნაღის დეპუტატებს ნება არა ჰქონდათ ამ საკითხში მონაწილეობა მიეღოთ. როდესაც ამაზე მღ. ნინიკაშვილმა შეჰნიშნა, მაშ საწყობის გადაცემის საქმეში რაღათ მიიღეთ მონაწილეობაო, დ. დეკანოზიშვილმა უპასუხა, მე მეგონა გამგის დანიშვნაში მე დამიჭერდით მხარსაო. კენჭის შედეგმა დიდი ალიაქოთი და აურ-ზაური გამოიწვია დეკანოზიშვილის მხრივ და რომ ამან ვერ გ. სჭრა, სადამოთი ოფიციალურად ქაღალდი მისწერა სასწ. გამგეობას კრების შესახებ და კრება დახურა. ასტეხა ერთი ალიაქოთი, აყალმაყალი და დავიდარაბა, რომელსაც შედეგად ის მოჰყვა, რომ სიღნ. დეპუტატმა მ. ნინიკაშვილმა ვეღარ მოითმინა თავმჯდომარის საქციელი და სამღვდელო სამართალში გამოიწვია; სამ. სასამართლომ დეკანოზიშვილი დამნაშავედ იცნო და ბოდიში მოახდევინა.

აქვე არ შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ სანთლის საწყობს ეხლა მთელი კომისია განაგებს, და როგორ წავა საქმე, თუ მართლა ერთ კაცს ჩაუვარდა ხელში, (რაც საეჭვოა), ადვილი გასაგებია.

**დამსწრე**

## ოსმალეთი

**რევოლიუციის წლის თავი.**

სალონიკში დიდის ამბით ემზადებიან რევოლიუციის წლის თავის დღესასწაულისთვის. 11 ივლისს სალონიკში რამდენიმე საგანგებო მატარებლით მოვლენ სტუმრები. სხვათა შორის. დღესასწაულზე დასასწრებლად მოვლენ სერბიელი სტუდენტები ბელგრადიდან.

**აბდულ-ჰამიდი.**

აბდულ-ჰამიდს თვეში 1,000 გირვანქა ეძლევა პენსიად. ამ ფულიდან მთავრობა ამას იქით დაუჭერს 150 გირვანქას ორი მისი ვაჟიშვილის შესანახად. ეს ვაჟიშვილები სტამბოლში სცხოვრობენ.

**ბერძნები და ოსმალები.**

ბიიკოტი ბერძნების წინააღმდეგ თან და თან ძლიერდება. ოსმალური გაზ. „ვარდარ"-ი ურჩევს ხალხს, ბერძნებთან ყოველ აღებ-მიცემობა შესწყვიტეთო.

ურთი-ერთობა ოსმალთა და ბერძენთა შორის თან და თან მწვავდება. სმირნას ვილაეთში ხალხი ძლიერ აღელვებულია. ზოგან მეტაკება მოუვიდათ ბერძნებსა და მუსულმანებს. ბევრი ბერძენი დასჭრეს და მოჰკლეს. სმირნას ჯარის უფროსი რაზმით წავიდა ბარგომაში, სადაც უწესოება მოხდა.

მთელს იმპერიაში სჩხრეკენ და აპატიმრებენ ბერძენთა კომიტეტის „ადელფია"-ს წევრებს. ბერძნები შეშინებულნი არიან.

მთავრობამ უბრძანა ჯარის უფროსებს საბერძნეთ-ოსმალეთის საზღვარზე, უმოწყალოდ მოექეცით ბერძენთა რაზმებსაც,

სალონიკში საჩქაროდ დაიბარეს მაკედონიის კორპუსების ჯარის სხვა ნაწილების უფროსები.

საბერძნეთის საზღვარზე მთელის ჯარის უფროსად დანიშნეს გენერალი ჯევად-ფაშა. (გ. მ.).

## კრიტოსის საქმე

**კრიტელების იმედი.**

ფრანგულ გაზ. „მატენ"-ში დაბეჭდილია წერილი კრიტეს აღმასრულებელ კომიტეტის რწმუნებულის წერილი. ავტორი ამტკიცებს, რომ მფარველმა სახელმწიფოებმა სულაც არ გადასწყვიტეს კრიტეს საქმეო. კრიტელებისთვის არაა სასიამოვნო, რომ კუნძული გამოურკვეველ მოგომარეობაში რჩება, მაგრამ ისინი მაინც კმაყოფილნი არიან იმით, რომ სახელმწიფოები ენდნენ კრიტეს დროებით მთავრობას და თავიანთი ჯარი გაიყვანეს კუნძულიდან. კრიტელები დარწმუნებულნი არიან, რომ სახელმწიფოები მალე ხელ-ახლად გაჰმართვენ ერთმანეთთან მოლაპარაკებას და კუნძულს საბოლოოდ შეუერთებენ საბერძნეთს. ახალგაზდა ოსმალებიც ბოლოს და ბოლოს იძულებულნი იქნებიან დასთანხმდნენ, რომ კრიტოსის საქმე უნდა გადასწყვიტონ მფარველმა სახელმწიფოებმა და კრიტოსმა ერთად, ოსმალეთის დაუკითხავად, რადგან ოსმალეთის ჯარმა და მოხელეებმა უკვე თორმეტი წლის წინად მიატოვეს კუნძული.

**ოსმალეთის მთავრობის გადაწყვეტილება.**

ოსმალეთის მთავრობამ გ დაჰრით გამოაცხადა, რომ იგი თანახმაა ავტონომია მიანიჭოს კუნძულ კრიტეს, მაგრამ არა დროს არ მოითმენს ოსმალეთის უზენაეს უფლების დამცირებასო.

## რუსეთი

◆ **უმაღლესი საექიმო სასწავლებელი.** „რანეე უტრო"-ს სიტყვით ვაჭრობის მინისტრს სხვა-და-სხვა დაწესებულებებისთვის და პირებისთვის დაუგზავნია მოხსენება. ეს მოხსენება მინისტრს ერთმა ჯგუფმა მიართვა. მოხსენებაში ნათქვამია; რომ საჭიროა ქალაქ კისლოვოდსკში უმაღლესი საექიმო სასწავლებელი დაარსდესო. მოხსენების განხილვის შემდეგ დაწესებულებებმა და სხვა პირებმა თავიანთი აზრი ამის შესახებ უნდა აცნობონ ვაჭრობის მინისტრს.

◆ **ლომონოსოვის იუბილეი.** 1911 წლის 3 ნოემბერს სრულდება 200 წელიწადი, რაც ლომონოსოვი დაიბადა. სამეცნიერო აკადემიას უკვე აურჩევია კომისია, რომელიც შეიმუშავებს იუბილეის დღესასწაულის წეს-რიგს.

◆ **სიკვდილით დასჯა.** გასულ თვეს, ივნისში, სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ 121 კაცისთვის, აქედან სიკვდილით დაუსჯიათ 25 კაცი. სიკვდილით დაუსჯიათ: ეკატერინოსლავში—7, პერმში—5, ვორონეჟში—3, ტფილისში—3, ჩერნიგოვში — 2 კაცი და სხვ. სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ: ეკატერინოსლავში—29, ვარშავაში—19, ხარკოვში—14, ტამბოვში—9, ჩერნიგოვში—8 კაცისთვის.

ბაქოსა, ვლადივოსტოკსა, ელისავეტგრადსა, მოსკოვსა, რეველსა და ტფილისში—თითო კაცისთვის. 8 ქალაქში—3—2—1 კაცისთვის. სულ, ამ წლის ექვს თვეში სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ 721 კაცისთვის, სიკვდილით დაუსჯიათ 310 კაცი.

ეს ცნობები გაზეთებიდან არის ამოღებული, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ გაზეთები ყველთვის ვერ იგებენ სიკვდილით დასჯილთა და გადაწყვეტილთა შესახებ ცნობებს, მაშინ უფრო მეტს რიცხვს მივიღებთ.

◆ **„ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" წევრების კრება.** პოლტავის დღესასწაულების შემდეგ, „ნოვაია რუსის" სიტყვით, „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" წევრებს კრება გაუმართნიათ. კრებაზე ბევრი ულანძღიათ პრემიერ-მინისტრი სტოლიპინი და სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვი, სულ მათი ბრალი იყო, რომ ნება არ მოგვცეს პოლტავის დღესასწაულის დროს ჩვენი ძალ-ღონე დაგვენახვებინა რუსეთისთვისაო. ამას გარდა კრებაზე ბევრი უკამათიათ, მივართვათ ხელმწიფეს თხოვნა თუ არა, რომ დაკეტონ მემარცხენების ყველა გაზეთები და დიქტატურა გამოაცხადონ. დიდი კამათის შემდეგ დაუდგენიათ, ჯერ დრო არ არის ასეთი თხოვნის მირთმევისა და შემდეგისთვის გადავდოთო.

◆ **ხოლერა და გლეხები.** „რუსკ. ვედომ."-ში ვკითხულობთ: „28 ივნისს სოფელ ლიპკაში, შლისელბურგის მაზრაში, გაიგზავნა ფერშალი და სანიტარი. მათ უნდა დეზინფექცია გაეკეთებინათ იმ სახლისთვის, რომელშიაც ხოლერიანი ავადმყოფები აღმოაჩინეს. გლეხებმა ნება არ მისცეს ფერშალს დეზინფექცია მოეხდინა, სცემეს სანიტარს და სადეზინფექციო მასალები და იარაღი გადაყარეს და დაამტვრიეს. ამის შემდეგ სოფელ ლიპკაში გაიგზავნა ბოქაული და დარაჯები. მხოლოდ ამათის შემწეობით მოახდინეს დეზინფექცია!!."

◆ **ლარიჩკინის მკვლელობა.** „კასპი" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: პეტერბურგში ხმა დადის, რომ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირმა" მოჰკლა ლარიჩკინი. მიზეზად იმას ასახელებენ, რომ „კავშირს" ეშინოდა ლარიჩკინ არ გაეცა „კავშირის" სხვა-და-სხვა საიდუმლოებანი", ლარიჩკინი გერცენშტეინის მკვლელია.

## შემოწირულობა

წერა-კითხვის საზოგადოების სამტრედიის განყოფილების სასარგებლოდ.

ნ. კუჩუხიძისა საკიდური 1 ც., მ. ბ. კორაკოზოვი და იგანოვი საკიდური 3 ც., პირსახოცი 1 ც., ს ლფეთქები ჩაისა 6 ც. და ჩითი 5½ არშ., ბ. გუკუჩავა პატარა სარკე 1 ც., ბავშვის სათამაშო 1 ც. და პატარა დოქი 1 ც., დ. ჯიქია და დ. რუხაძე ბალიშის გადასაფარი 1 ც. და სალფეთქი 1 ც., ქ. მიქაძისა ჩულქი 3 [illegible]. მაკრატელი 1 ც. და მარფი 1 ც., ფ. ფილიპოვი პატარა ჩამჩა 3 ც., დიდი ჩამჩა 1 ც., სარკე 1 ც.. საფერფლე 2 ც., ყვავილის ვაზა 1 ც და იაპონური მარაო 2 ც., ვ. გოგიავა 1 მან., ფ. მგიპკინი 1 მან., გ. ფირცხალავა 50 კ., გ. გუსეინოვი სავარცხელი 3 ც., ცხვირ-მანდილი 2., მარფი 1 ც. პორტმანი 1 ც., საპონი 1 ც., პატარა დანა 1 ც., ბავშვის ქუდი 1 ც. და დუხი 1 მ., ე. ალხაზიშვილისა გრაფინკა თავის 6 ჭიქით და ფოდნოსით ტკბილ სასმელებისთვის, ბ. ნაცვალაძე ყვავილის ვაზა 2 ც. და პივის დიდი ჭიქა 1 ც., ქ. კაცაძისა მარფი 2 ც., დ. მიქელაძე 1 წიგნი შ. გოგელიანი, მ. მიქელაძის ასული ერთი წიგნი ნეკრასოვის, გრ. ბექთაბეგოვი 5 მან. ტრ. ცქიტიშვილი 5 მან. და ალ. ზაპოლსკი 3 მან.

გამგე სეირნობისა **მ. ა. გლადკოვისა.**

განყოფ. თავმჯ. **გ. მ. სიხარულიძე.**

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ გაზეთ „დროება"-ში თელავის საკვირაო სკოლის ანგარიშს:

თელავის საკვირაო სკოლაში სწავლა დაიწყო მიმდინარე სამოსწავლო წლის მეორე ნახევრიდან. დაიარებოდა 120 მოსწავლე სქესის, სარწმუნოების და ეროვნების განურჩევლად, უმთავრესად ბაზრის შეგირდები. ასწავლიდნენ: ქართულს, რუსულს, ანგარიშს და სამღრთო სჯულს. ამას გარდა შეგირდებს უკითხავდნენ საყმაწვილო წიგნებს.

სკოლას შემოსწირეს: თელავის ქალაქის გამგეობამ—50 მან., ქ-ნ თ. ი. ცისკარაშვილისამ—5 მ., ი. გორდეზიანმა—1 მ. და მღ. ი. შიუკაშვილმა—1 მ. 50 კაპ. სულ 60 მან. 50 კაპ.

დაიხარჯა სასწავლო ნივთების შეძენაში (მოწაფეთ მუქთად ეძლევათ) 44 მან. 88 კაპ. დარჩა 15 მან. 62 კაპ., რომელიც ჩემთან ინახება.

სკოლაში მოსწავლეთა სახელით გულითად მადლობას ვუძღვნი ზემო დასახელებულ დაწესებულებას და პირთ შემომწირულებისათვის, ურომლისოდაც სკოლას არ შეეძლო არსებობა.

ნაკ. სკოლის გამგე-ხაზინადარი

**ვანო პაატაშვილი.**


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

**დოქტ. ნავასარდიანცისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირების გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**საღამოთი:**

**ი. ვ. გევეხკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მეთაოსნობით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—122)

◀ სიკვდილი ▶

**ბაღლინჯოებს!**

ახალი საშუალება „კლოპოვინი", რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ წუთში, რისთვისაც პირობას ვაძლევ. ჯერ არა ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალი. დარიგება თან ახლავს ფლაკონს. ფასი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფასდადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინი" აპობამისა. მთავარი საწყობი ტფილისი, ნეკრასოვის ქუჩა, № 14 და ვორონცოვის ძეგლთან. რათა სიყალბე არავინ ჩაიდინოს, კლოპოვინი იყიდება მხოლოდ ჩემ მაღაზიაში ტფილისისთვის. (15—ახ.—3)

**იყიდება**
**სასმელის დუქანი**
თამარის ქუჩაზე (მე 9 ნაწილი), № 19. მოლაპარაკება დუქნის პატრონთან. (6—331—1)

◀ ამხანაგობის ▶
**„იუჟანე"-ში**

სასახლის ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა სახაზინო თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დღისით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. უკრავს ორკესტრი ბ-ნ ვ. ფალიაშვილის ლოტბარობით. **ბაღში შესვლა უფასოდ.**

სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელ სასმელზე არის ვალკა „პორტიჩები" და „პრეისკურანტები". ფასები ზომიერია. телефонъ N 233. (50—გაგ.—25)


## მატარებლების მიმოსვლა
(18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარედ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისისა.

**ტფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, ნაშუადღევს 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.),

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. N 78/79, ნაშუადღევ. 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) საგარაკო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო N 77 a, ნაშუადღევს 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი N 2, დილის 8 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამ. 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო N 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 7 ს. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო N 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის—საგარაკო N 76 a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.). საგარაკო N 76, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).


**მომავალი 1910 წლის კედლის კალენდარი „განთიადი"**

**ამ ცოტა ხანში დაიწყება ბეჭდვა და დეკემბრის პირველ რიცხვებში გამოვა გასასყიდათ**

კალენდარი, როგორც ქვემო დაბეჭდილ ნიმუშიდან სჩანს, დიდი ზომისა იქნება და ეღირება თითო 40 კაპ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 25% დაკლებით.

რომ დანამდვილებით ვიცოდეთ, თუ რამდენია საჭირო კალენდრის დაბეჭდვა, ამისთვის ვთხოვთ წიგნის მაღაზიებს და გამყიდველებს ამა წლის 20 ივლისამდე გვაცნობონ ყველამ, ვის რამდენი ცალი დასჭირდება. ამასთანავე უნდა წარმოადგინონ ბეე რაოდენობის მიხედვით 25%, რათა ტყუილად არ დაგვირჩეს დაბეჭდილი.

ადრესი: ტფილისი, რუსის ქუჩა, N 3. სტამბა „სინათლე", კედლის კალენდარის „განთიადისთვის".

**თიბათვე (30 დღე)—ივანობისთვე**

მზე: ამოდის 4 საათ. 20 წ. ჩადის 7 საათ. 35 წ.

**10**

მთვარე: დილის 5 ს. 10 წთ. სრულდება 16 დღისა.

**ახალი სტილით 23**

162 დღე წლის თავიდან. რჩება 204 დღე წლის დამლევამდე

**ხუთშაბათი**

**მართლ-მად.** წმ. მღვდელ-მოწამისა ტიმოთე პრუსელ ეპისკოპოსისა.
**კათოლიკეთა.** წმ. მარგალიტასი, ფილიტატისა და ამალიასი.
**გრიგორ.** მარხვა. წმ. თეოდორე გალათელისა.

უახლოესი უქმე (გარდა კვირისა) სამშაბათი, 29 ივნისი.

● ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობა ●

მუშათა აჯანყება პარიზში 1848 წ.
გაიხსნა ტფილის-ფოთის რკინის გზა 1872 წ.
რუსეთის ბაზრებში მდისპო ადამიანების ყიდვა-გაყიდვა 1808 წ.
შაჰმა დააქცია სპარსეთის მეჯლისი 1908 წ.
ლოძის დიდი გაფიცვა და ბარიკადების გამართვა 1905 წ.

**პატარა სტატისტიკა**

უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის მიერ 1902 წ. გამოქვეყნებულ ანგარიშიდანა ვტყობულობთ, რომ რუსეთში თეთრი სამღვდელოება ყოფილა: დეკანოზი 2,340, მღვდელი—44,487, მთავარ-დიაკვანი—14,960, მედავითნე—43,552, სულ 105,000 სული. შავი სამღვდელოება: ბერი 8,455, ამათი მორჩილი 6,601, მონაზონი 10,963. ამათი მორჩილი 32,029, სულ 58,000 პირი. საერთოდ ორივე 660,000 სულს უდრის.

მთელ რუსეთში 49,703 ეკკლესიაა, ამაში 500 ბერების მონასტერია და 302 მონოზნების. 1902 წ. სასულიერო სამმართველოს შეიცავდა 66 ეპარქია, რომელსაც განაგებს 3 მიტროპოლიტი, 14 მთავარ-ეპისკოპოსი და 50 ეპისკოპოსი.

1905 წ. რუსეთის საეკკლესიო ქონებას შეადგენდა 1,872,000 დესეტინა მიწა, რომელზედაც გაშენებულია მრავალი ქარხნები, წისქვილები, სათევზაოები და სხვა. აგრეთვე აქვს 1200-მდე ქვითკირის სახლი. ნაღდ ფულათაც აქვს ოამდენიმე მილიონი. ამ ქონების შემოსავლიდან და ყულაბებიდან მოქუჩებული ფული მარტო 1902 წ. 42 მილიონამდე ავიდა. ამას გარდა ხაზინიდანაც ეძლევა ყოველ წლიურად, არა ნაკლებს ოცი მილიონისა.

ზემოხსენებულ შემოსავლიდან ალექსანდრე-ნეველის ეკკლესიის იღუმენს წელიწადში ეძლევა 1,800 მან. ამ მონასტრის წლიურ შემოსავლიდანაც სარგებლობს. ეკონომს ეძლევა 20,000 მან., მოსკოვის მიტროპოლიტს წლიური ჯამაგირი აქვს 6000 მან., საჭმელ-სასმელისა 4000 მ., არქიელების სახლის შემოსავლიდან 8000 მ., საკვირველ მონასტრიდან 6000 მ., სერგეევის სულის წმიდის მონასტრიდან 12,000 მ., სულ წელიწადში 84,000 მ. შემოსავალი აქვს. პეტერბურგის მიტროპოლიტი იღებს წელიწადში 5000 მან. ჯამაგირს, სასმელ-საჭმელისას—4000 მ., ნევის ლავრიდან—250,000 მ., სულ წელიწადში 259,000 მ. კიევის მიტროპოლიტი იღებს წელიწადში 5,000, საჭმელ-სასმელისას—4,000 მ., საარქიელო სახლიდან—10,000 მ., პეჩორის ლავრიდან—65,000 მ., სულ წლიურად 84,000 მ. ყაზანისა და ვლადიმერის მთავარ-ეპისკოპოსებს წელიწადში ეძლევათ თითოს 10,000 მან.


სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ხ. აგლაძე.**